

სანდრო პაპია

მეგობრებო, გთხოვთ



სახელმწიფო პაპა

კომპლექსური
ანგარიშები

[2018]

თბილისი
2019

რედაქტორი

კობა გელოძე



ნიგნი აენყო და დაკაბადონდა



©ალექსანდრე ახატნელი, თბილისი, 2019 წ.

რედაქტორისგან

ჩავლილმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამ პროცესების შეფასებისას, საზოგადოებრივი აზრი არაერთგვაროვნად ჩამოყალიბდა, თუმცა ყველა თანხმდება ერთ საკითხში: არჩევნებში არა ერთი ხარვეზი და კანონთან შეუსაბამო ფაქტი გამოვლინდა.

უდავოა, ყოველივე, რაც მოხდა, გამონვეული იყო მმართველი ხელისუფლების დაუფარავი შიშით, რათა არ რესტავრირებულიყო წინამორბედი ხელისუფლება.

საზოგადოებრივი აზრი დღემდე სამ ნაწილადაა გაყოფილი: ერთნი ამართლებენ საარჩევნო კანონის შეგნებულ დარღვევებს, რომლებიც ზოგჯერ კრიმინალშიც კი გადადიოდა, იმ საბაბით, რომ მხოლოდ ასეთი წინააღმდეგობით შეიძლება მათ მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების შენარჩუნება, მეორენი კი – პირიქით, არჩევნების შედეგს მიიჩნევენ უკანონოდ და მოითხოვენ მის გაუქმებას, მიაჩნიათ რა, რომ მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებებს. არსებობს კიდევ მესამე, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ არსებულმა ხელისუფლებამ სრული სიზუსტით გამოიყენა ყოფილი ხელისუფლების საარჩევნო სტილი, მანერა და ამით საბოლოოდ გამჟღავნდა სამნუხარო ფაქტი, რომ ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოში, საერთოდ, არ არსებობს დემოკრატია. ისინი ასკვნიათ, რომ ეს ყოველივე, რაც მოხდა უკვე ტრადიციული სამარცხვინო სანახაობაა და, მართლაც, სასაცილო იქნებოდა, სატირალი და საქვეყნოდ თავის მომჭრელი რომ არ იყოს.

სწორედ ეს მესამე თვალსაზრისი იხატება წარმოდგენილ ნაწარმოებშიც. მასში ავტორი ხატავს პოლიტიკურ სპექტაკლს ღია ცის ქვეშ, რომელშიც სატირული უკომპრომისობითაა გაშიშვლებული ის მანკიერებები, რაც მკვიდრად ჩაბუდებულია ქართულ პოლიტიკაში. ავტორს სააშკარაოზე გამოჰყავს „გახუნებული“ და „ახალგამოჩეკილი“ ის პოლიტიკოსები, რომლებიც დემოკრატიული ღირებულებების დროშით შეგნებულად ასუსტებენ და ზოგჯერ ასამარებენ კიდეც საზოგადოების პროგრესულ მისწრაფებებს.

„კომედიანტები“, – მართლაც რომ, ზუსტად შეესაბამება ამ პოლიტიკური პიესის სათაური მის შინაარსს. მწერალი ოსტატურად, მაჩაბლისეული სტილით, სხვისი თვალით გვიჩვენებს იმ ქვეყანას და იმ საზოგადოებას, რომელშიც, დღესდღეობით, თითოეული ჩვენგანი ტრიალებს.

კობა ბედოიძე



ბიძინა – თუ მეფობაა, მეფობა იყოს. მქონდეს უფლება
 აბსოლუტური
 სასურველ მიზანს რომ მივაღწიო,
 უნდა მოვიგო მეორე ტური.
 ოქტომბრის ბოლოს ვინერვიულე¹,
 ახლა მომეცა დიდი იმედი,
 თუ საბოლოო დავსვი წერტილი,
 სულ სხვა მექნება გადასახედი.

ჟამთა მროველი – ჭაობში მჯდომი სუნამოს ისხამ, ფიქრობ,
 დაძლიე სუნი ჭაობის?
 ძველ კადრებს უხმე, სიახლეს ელტვი,
 რჩები მძევალი იმავ თაობის.

ბიძინა – არ გეთანხმები, ძველს თუ უარვეყოფ,
 როგორღა შევქმნი სასურველ ახალს?
 მექანიკურად ვინც იმიჯნება, ვერას მიაღწევს,
 თავს ქვაზე ახალს.
 მე ძველებს ვიცნობ, ზოგსაც ვენდობი. ბევრიც მენდობა
 და მიერთგულებს,
 თუ არ დავყავი, არ განვასხვავე, ვერ მოვიცილებ
 გზიდან ორგულებს.

ჟამთა მროველი – უცნაურია კაცის ბუნება, თუ საქმე წახდა,
 სხვას გაამტყუნებს,
 კიდეც რომ მიხვდეს თავის შეცდომას,
 მას გაამართლებს სხვისას იწუნებს.

1. 2018 წ. 28 ოქტომბერში ბიძინას რჩეულმა სალომე ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში გადამწყვეტ წარმატებას ვერ მიაღწია.



რად გაგახსენო, შვიდი წლის წინათ¹ გათქვი
 ფარულად გულში ნადები
 როდის რას იზამ, რას რითი შეცვლი,
 დაასაბუთე ყველა ვადები
 და რა მოიმკე დღეისთვის, ხედავ? რას მიელტვოდი,
 რაა შედეგი?
 ლოდინში წლები გადააგორე, ახლა ტყუილი
 გათქვი შემდეგი?²

ბიძინა - ფუჭად ბაასი არა მჩვევია, არ ვარ ავყია და მეოცნებე,
 ხომ აღიარე, შვიდი წელია, ქვეყანა მისდევს მას,
 რაც ვინებე
 და უფრო ადრე ვემზადებოდი, ვსწავლობდი კადრებს –
 ახალს თუ ძველებს,
 ძალებს ვიკრებდი – თუ არ მოზომე, ჩხუბისას ფუჭად
 აიქნე ხელებს,
 კადრის შერჩევა და მენეჯმენტი რომ არ ვიცოდე,
 რას მივალწევდი?
 ეკონომიკის ავი და კარგი არ გამეთვალა,
 ამდენს ავწევდი?
 ბოლო წლებია, ნაყოფიერად ვიკვლევ მასების
 ფსიქოლოგიას –
 რა გავლენა აქვს ცრუ დაპირებას, სამართლის მოშლას,
 დემაგოგიას.
 შენ დაუკვირდი, რითი დავინწყე, რა გზით ვიარე,
 რა მაქვს მიზანი,
 ვინ მყავდა მტერი და ვინ მოყვარე, ვინ რა მიიღო,
 გამოიცანი.

ჟამთა მროველი - შენი წარსული დამალულია,
 ბნელ ლაბირინთში ვინ გაერკვევა?

1. 2011 წ. ოქტომბერში ბიძინა აშკარად დაუპირისპირდა მ. სააკაშვილს.
 2. 2018 წლის 4 ნოემბერს ბიძინამ საგანგებო განცხადება გააკეთა, აღიარა შეცდომები და ერთ წელიწადში მათი გამოსწორების პირობა დადო.



მხოლოდ ერთია სხვებისთვის ცხადი: დაუნდობლობის
დაგყვება ჩვევა.
ეს თავად გათქვი, ასეც გაიგეს, გამოამყლავნე
როცა ბუნება,
ოჯახის წევრსაც არ აპატიებ, თუ გაგიბედა
შემობრუნება.
სხვაფრივ, ვინ იცის, სად რა იშოვე, როგორი შრომით,
როგორი გზნებით?
მხოლოდ გუმანი მაფიქრებინებს, მიმოდოდი
ეკლიან გზებით.
ისეც ცხადია, გლესს თუ ხელოსანს, ვერ უშოვიათ
მილიონები,
შენ მილიარდებს ეთამაშები – ნიშნავს, ბევრს მწარედ
მოეგონები.

ბიძინა - სხვისი ფულის თვლა ცუდი ჩვევაა,
შურიანობა აჩრდილად დასდევს
ათასსაც ფუჭად არავინ მოგცემს, მსურველი უნდა
შეეჭიდოს დევს.
პატარა ვიყავ, საშოვრად წასულთ ოზურგეთისკენ
გზას გამიყენეს,
როგორი მწარე არის ცხოვრება, მშივრებმა ფიცხელ
შრომით მიჩვენეს.
და მაშინ მივხვდი: მამაჩემის გზა დიდ სიკეთემდე
ვერ მიმიყვანდა,
არავინ მყავდა გზის გამკვალავი,
შემცოდებელი არავინ ჩანდა,
თავი გადავდე, ცოდნა მივიღე, დიპლომი მერგო
უმაღლესისა,
უკიდევანო რუსეთს მივმართე, დამიდგა ჟამი
ტვინის ლესვისა.
იმათ შევეკარ, ჩემსავით ვისაც წყურვილი კლავდა
გამდიდრებისა,



მათთან თუ ცალკე, მათთვის თუ ჩემთვის, ვიმკე თავთავი
 მოთმინებისა.
 როდის რა მოხდა, აღარც კი მახსოვს, ასე დაგროვდა
 მილიონები,
 სიმდიდრეს მოჰყვა იმდენი რამე, რომ გავთქვა,
 დევად მოგეჩვენები.

ჟამთა მროველი - გასაგებია. მხოლოდ ერთია,
 გაორებული დაიარები.
 ერთ მხრივ ვერ სძლიე სიხარბის გრძნობას,
 ვერც მოიცილე ნაიარები,
 გლეხური სული ტრიალებს შენში, სადაც რას ნახავ,
 საკუთრად გინდა,
 ამავე დროს მასებს ეკეკლუცები, გსურს, მოეჩვენო
 სუფთა და წმინდა.
 ღარიბნი თითქოს გეცოდებიან, მაგრამ მდიდრები
 ძალას გმატებენ,
 ასარჩევია, ვის მიუდგები, საზრუნავს
 რამდენს დაგიმატებენ.

ბიძინა - გამიგონია, რუის-ურბნისში სიბრძნით სწირავდა
 ყველა მროველი,
 არ იყო მათში ქვეგამხედველი და არც ინტრიგის
 ბადის მქსოველი.
 მინდა, მჯეროდეს, რასაც შენ მეტყვი, სიკეთითაა
 ნაკარნახები,
 არ გამოძრავებს შური და ბოღმა, არც მე ვარ
 მტრულად დასანახები.
 რამდენჯერ მითქვამს, გაჭირვების ჟამს,
 მსხნელად ქვეყანას ვინ მოევლინა?
 ჯარს, მსახიობებს, ხელისუფლებას, სიცოცხლის
 წყალი დააღვეინა?
 მხოლოდ ხელფასებს წლობით ვაძლევდი, არა ვდაობდი,
 ვალს არ ვარქმევდი,



ეკლესიები რომ აგიშენეთ, როგორ გამოგდის,
 მოგებას ვსდევდი?
 მესაკუთრული ბუნება გაქვსო, ეს ცუდის ნიშნად
 არ მიმიღია,
 ქონება მაქვს და კიდევ ვამრავლებ, რატომ დავმალავ,
 დავალ გულღია,
 დაგიკონკრეტებ: საქართველოში თუ რამ შენდება,
 ჩემით კეთდება,
 მე რომ არ ვიყო, რას მიაღწევდით, ლატაკთა
 საქმე გამოკეთდება?
 აბა, იფიქრე, საყდრისის¹ გამო, ოფისის კარი
 ამიტალახეს,
 ვერც კი მოზომეს, ვის შეეჭიდნენ, ვინ დაამცირეს და
 ვინ გალახეს,
 ოდიშარია გადაიყოლეს, გიორგაძეთი, რა,
 ვერ შევცვალე?
 მინისტრი იყო, არ მიჯერებდა, მიტომ საქმოსანს
 ვერ ვანაცვალე?
 როდის ყოფილა, მწერალ-მეზღაპრე ჩემისტანებთან
 საქმეს არჩევდა,
 გიორგაძეს კი მაგისტანებთან უღევი მადა
 გამოარჩევდა.
 შენა გგონია, ვერა ვხვდებოდი, ბიუჯეტს საით
 ანიავებდა?
 ეს ერთგულებით დაიმსახურა, მწერალი ასეთს
 როგორ ასწევდა!..
 ერთგულებისთვის მან რაც მიიღო, წინამორბედმა
 ხომ ის დაკარგა?
 უნდა იცოდე, ვის უერთგულო, ჩემისტანებთან
 თამაში ვარგა?

1. საყდრისი – უძველესი ოქროს საბადო ბოლნისის რაიონში, მისი აფეთქება გახდა საზოგადოებრივი აზრის გაორების საგანი. ამან კულტურის მინისტრის შეცვლა გამოიწვია.



უამთა მროველი - საყდრისის საქმე, ბევრიც მოიგო,
 მოუნელებელ ცოდვად დაგრჩება,
 მოგეკითხება საშვილიშვილოდ, ერის სამდურავს
 ვერ გადარჩება.
 იმ მიდამოში, ოქრო რომ არის, შენ როგორ ფიქრობ,
 სხვამ არ იცოდა?
 ისტორიულ ძეგლს პატივისა სცემდნენ და სიყვარულით
 გული იწოდა.
 ერთს გავიხსენებ, ერეკლე მეფეს ეგ მხარე, განა,
 არ ეკუთვნოდა?
 ლორე-ალავერდს შექმნა ქარხანა, ზარბაზნის ქონა
 რაკი უნდოდა,
 კარგად იცოდა მთელი ეს მთები, ოქრო-სპილენძის
 დიდი განძია,
 მაგრამ დაინდო ძველი საბადო, მასთან საყდრისი,
 თავად ტანძია.
 საბა-სულხანი¹, ამ კუთხის შვილი, მისგან ამ პატივის
 იმსახურებდა
 და რა იცოდა, მოვა ბიძინა, ფულისთვის
 ყველას ააოხრებდა.

ბიძინა - შესდექ!.. შენ ფიქრობ, მე ვერა ვხვდები, ერისთვის
 რაა საბა-სულხანი?
 სიბრძნე სიცრუის წამიკითხავს და შემისწავლია,
 დიდი ხანი.
 შენ გაიხსენე ერთი იგავი, მიწაში ოქრო იყოს- არ იყოს,
 თუ არ აიღე, არ მოიხმარე, მდიდარ-ღარიბი
 რითი გაიყოს?
 ოქრო-სპილენძი ამ მთებს რომ გასდევს, თუ არ მოიხმარ,
 არცა გქონია,
 ლორეს, ალავერდს დღეს სომეხი ფლობს, ოქროც იმათი
 მონაქონია.

1.სულხან საბა ორბელიანის სამფლობელო იყო სოფ. ტანძია. მისი „სიბრძნე სიცრუისა“ ერისთვის შეუფასებელი განძია.



ჩვენ წილ მამულში ოქროს საბადოს შორით ვუყუროთ,
 არ მოვიხმაროთ?
 დაფლულ სიმდიდრეს ძეგლი ვუნოდოთ,
 წარსულს გადავყვეთ, ცრემლები ვღვაროთ?
 მე ასე ვფიქრობ, თუ გვსურს, დავძლიოთ სიღარიბე
 და შევექმნათ ცხოვრება,
 გამოვიყენოთ, რაც გვაბადია, წარსული ისეც
 გვემახსოვრება.

ჟამთა მროველი - თავდაჯერებით ისე საუბრობ,
 რომ სინანული სულ არ განუხებს,
 ოქრო გგონია ბედნიერება, მამულიშვილებს
 უჭერ მარწუხებს.
 საბას იგავი, ერთი რომ იცი, სხვაც ბევრი, ალბათ,
 გემახსოვრება,
 ბრძენი ილია¹ რას გვიბარებდა, როგორი ვარგა
 ქვეყნად ცხოვრება?
 კაცი ხერხია და არა ეჩო, ავი და კარგი უნდა იცოდეს,
 მდიდარ სასახლეს ეფარებოდეს, ღარიბის
 ცოდვით აღარ იწოდეს?
 კიდევ ერთს გეტყვი, შოთას² დიდებულს, უთქვამს
 კაცთათვის სავარგულია:
 იცოდე, რასაც გასცემ შენია, რაც არა –
 ბოლოს დაკარგულია.

ბიძინა - შენი ნათქვამი მე არ მეხება, მე ბევრს ვპატრონობ
 და ვეხიდები,
 ხომ არ ვიყვირებ? – ათასს ვინახავ, მაგრამ ბევრ
 ათასს ვერ გადავყვები.
 ამათ რომ ჰკითხო, ერთი აქვთ სული, რაც მაქვს,
 გავყო და ჩამოვურიგო,

1. ილია ჭავჭავაძის ღვანლი ერის წინაშე იმით აღინიშნა, რომ მას მამა უწოდეს. კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა, კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს. მისაღებია?
 2. შოთა რუსთაველის „რასაცა გასცემ შენია...“ მრავალმხრივ დასაფიქრებელია მუდამ.



მერე იტყვიან, გაგიჟებულა, მაგრამ არ იყო,
 ჩვენთვის ურიგო.
 შენ დაუკვირდი: რაც მაქვს, რომ გავცე, მეორედ
 რაღა გავუნანილო?
 ერთხელ მიცემულს დაივინყებენ, გავხდები გლახა
 და სასაცილო.
 ბრძენ წინაპართა ანდერძს მახსენებ,
 შენ რომ არ მითხრა, რა, მე არ ვიცი?
 სიყმანვილეში ბევრი ვინ ვინე, სხვის გვერდში დგომა
 მაქვს დანაფიცი,
 მაგრამ ყველაფერს ზომა სჭირდება – არც მწვადი
 დანვა და არც შამფური,
 რომ ერთმანეთში არ აგერიოს, ხბოს ბულა არქვა და
 ბულას ფური.

ჟამთა მროველი - მაგ გამოთქმაში დაგეთანხმები, სიტყვას
 თუ საქმეს ზომა სჭირდება,
 ვინც დაპირებებს უზომოს გასცემს, ბოლოს შენსავით
 გაუჭირდება.
 ხალხს შენი ნდობა ჰქონდა უზომო. იცოდი,
 გაეც დაპირებები,
 კომისიები შეჰქმენ ცხრაგვარი,
 თითქოს შეაჭდე მცოდნეთა ხმები.
 თვეობით ჰქონდათ კვლევა-მსჯელობა,
 ფუჭი გამოდგა მათი მცდელობა,
 მათ მინდობილი ხალხს ატყუებდი. ახლა იცვალეს,
 ვითომ ხელობა?
 არ გასწორდება კუდი ძაღლისა, ვერც მხარს მოგცემენ
 შენი ძველები.
 მილიონები ჩამოურიგო, როგორც ქოფაკებს
 ეკუთვნით ძველები,
 ვინც გაიარა სკოლა პარტიის და შევარდნაძის
 იყო ერთგული,
 სააკაშვილსაც მხარში დაუდგა, იქით წავიდა,
 სად ნახა ფული.



ამბობ, მათ იცნობ, ბევრსაც ენდობი, რომელი არის
შენი შემნდობი?
ერთმანეთს ჭამენ სიმდიდრისათვის, არავინაა
სხვისი დამნდობი.

ბიძინა - შენი პირით თქვი, ერთმანეთს ჭამენ, გგონია,
მხოლოდ ირგვლივ მყოფები?
ძმა ძმას არ ინდობს და შვილი მამას, ერთი
ოჯახის განაყოფები.
კაცის ბუნება არის ასეთი, კუჭი თუ გაძღა,
თვალი არ ძღება,
ვერ დააკავებს ღვთიური სიტყვა, ლოცვა,
შელოცვა და ნათლისღება.
ამიტომ არის, დღეს მთავრობაში ყველა, ვინც საქმით
გამომიციდია,
ბანკში მყოლია დასაქმებული, წყალობის ხელი
გამომიწვდია¹.
მე კარგად ვიცი, ვინც მომცა ფიცი, მათგან რომელი
დაჯდა რამდენი.
ზოგს ცოტა ყოფნის, ზოგს ბევრი უნდა, რის მაქნისია,
რისი ჩამდენი?
პრემიერებში ჩემი ერთგული ირაკლი იყო
ღარიბაშვილი,
ჩემი გაზრდილი, ნაპატიები, როგორც ოჯახის
უფროსი შვილი,
ისიც კი შეცდა, თანამდებობა მხოლოდ
ახლობლებს გაუნანილა.
უნახავებმა სიმდიდრე ნახეს, მათი სიხარბე ვერ აიცილა.
მე რალა მექნა, მისი წახდენა, ხომ ჩემ წახდენას
მოასწავებდა,

1. პრემიერ-მინისტრები, ფინანსთა მინისტრები: ი. ღარიბაშვილი, გ. კვირიკაშვილი, ნ. ხადური და ა. შ. ყველა ბიძინას მიერ გამოწვევნილი რეკეტიორ-ჩინოვნიკია. ასევე მისი პირადი დაცვიდან არიან შინაგან საქმეთა, უშიშროების მინისტრები და ა. შ.



პრემიერობას ჩამოვაცილე, საერთო სახელს
 ვიდრე ავნებდა.
 კვირიკაშვილიც, როცა დავნიშნე, მიგონებდა
 და იყო დამჯერე,
 ბოლოს გაუტკბა თანამდებობა და გაუბერა
 მერე და მერე.
 შემეპასუხა. ასე იფიქრა, მაგისი წონა ჩემზე მეტია,
 გადავაყენე, არ გავაფუჭე, წავართვი, რაშიც
 ვერ ჩაეტია.
 შენ ახლა ნახე, ახალი ბიჭი, როგორ მიჯერებს,
 როგორ ირჯება,
 თუ გზას გადუხვევს, დაიმახსოვროს, რაც აქვს დაკარ-
 გავს და დაისჯება.
 მე ვამბობ მხოლოდ პრემიერებზე, სხვა მინისტრები
 რას გაბედავენ?! –
 საკმარისია თითის აქნევა, როგორც მისულან,
 ასევე წავლენ.
 ერთი ეგაა: ვისაც ვენდობი, უნდა აიწყოს ტკბილი
 ცხოვრება,
 ჩემს ირგვლივ ყოფნა სიმდიდრეს მატებს,
 წავა და მაინც ემახსოვრება.
 დღეს ვინც მდიდრდება, ჩემით მდიდრდება, იციან,
 მიტომ მიერთგულებენ,
 ღალატის ნიშანს ვინც გამოავლენს, რას დაკარგავენ,
 ვერც გაიგებენ.

ჟამთა მროველი - ვინც გადიდკაცდა, მან დაიჯერა:
 ქვეყანა ბრუნავს იმის გარშემო,
 სიფხიზლე დათმო, ბურანში მყოფმა, ვერ გაარჩია
 ზემო და ქვემო.
 შენ ფხიზლად იყავ იმ პერიოდში, კოალიცია
 როცა შექმენი,



შემოგყურებდნენ იმედის თვალით, ამოძრავებდათ
იმედი შენი.
სახელწოდებაც მარჯვედ მოარგე, ქართულიაო
ოცნება ჩვენი,
მეც დავიჯერე რაა ოცნება, შენთვის დავწერე,
შენთვის შევქმენი¹.
უტას² ვიცნობდი, კიდევ მომნონდა, მოკრძალებული
და თავმდაბალი,
ანზორმა³ მიქო, დაცვის უფროსმა, ქცევით ჭკვიანი,
სიტყვით ალალი,
შენი შეწევნა უფალს ვეაჯე, შვილის მიხედვით
მამა განვსაჯე,
და რა ვიცოდი, ბურანში მოვხვდი, ჭკუა დავკარგე,
ჯანი დავსაჯე,
შემდეგ, როდესაც ზოგ-ზოგ ლიდერებს მილიონები
ჩამოურიგე⁴,
შეფიქრიანდი, რატომ აკეთებს, ვის ოცნებას სდევს,
ველარ გავიგე,
ყველაფერს მივხვდი კოტე კუბლაშვილს, ხელფასის
ფორმით მიეცი ქრთამი,
მოსამართლენი მიჯრით იყიდე, ზოგი ყვინჩილა,
ზოგი ქათამი,
შენი ტაქტიკა ჩემთვის გამჟღავნდა, ყიდულობ,
ვინაც შემოგეძლევა,
ასე თანდათან მასებსაც გარყვნი, გაბატონდება
მათხოვრის ჩვევა.

1. მხედველობაშია 28.02.2012 წ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გა-
მოქვეყნებული სტატია „ქართული ოცნება“.

2. უტა – ბიძინას უფროსი შვილი.

3. ანზორ ჩუბინიძე, ბიძინას დაცვის ყოფილი უფროსი, ახლა სამთავრობო
დაცვის უფროსი.

4. მხედველობაშია კოალიციის წევრი პარტიების ლიდერები (დ. უსუფაშ-
ვილი, ზ. ძიძიგური, კ. დავითაშვილი და სხვა), რომელთაც თითო მილიონი
აჩუქა.



ბიძინა - დიდი ამბავი: მე რომ არ ვიყო,
 სხვა ჩემნაირი გამოჩნდებოდა,
 მე ზომას ვიცავ, სხვების სიხარბეს თქვენში
 რომელი გადარჩებოდა?
 როდის გითხარით, ცხოვრება ითხოვს
 და საშუალო გაიკრიფება,
 რას გამოიწვევს რეალობაში, გჭირდება ცოდნა
 და დაფიქრება.
 ვინც მიერთგულებს, ის ამაღლდება, ექნება მყარი
 შემოსავალი.
 ვინც მეურჩება, გალატაკდება, გაამათხოვრებს
 ბანკების ვალი.
 კარგად შენიშნე. ნაყიდებს ვენდე, ერთი ხანობა,
 გვერდზე ვიდექი,
 ხელისუფლებას მოცილებული, ჩემ საკითხს ვწყვეტიდი,
 განა ვინექი.
 ამათ იფიქრეს, რაკი წავიდა, ბიძინას
 რაზე დავეკითხებით.
 არ გაგიკვირდეს, უღელს თუ მოხსნი,
 შემოგიბრუნდეს კამეჩი რქებით.
 ჯერ კიდევ შარშან კვირიკაშვილმა გაბედა,
 სიტყვა შემომიბრუნა,
 ამ გაზაფხულზე კიდევ უმატა, გაჯიუტდა
 და გახდა ბუზლუნა.
 მივხვდი, ვინანე, ვის ვენდობოდი,
 რატომ მოვხსენი მძიმე უღელი,
 იძულებული გავხდი გამეგდო, მთავრობამ
 იგრძნო პატრონის ხელი.
 ახლა ეს ხელი არ მოგშორდებათ, ბევრს შეცვლის,
 ბევრსაც გაატიალებს,
 ჯერ არჩევნები უნდა ჩათავდეს და ნახავ,
 რასაც დაატრიალებს.

უამთა მროველი - საპრეზიდენტო არჩევნების წინ
 ბევრი შეცდომა გაახმოვანეს,



ოპოზიციამ, ჟურნალისტებმა ბევრი გაკადრეს
 და ბევრი გავნეს,
 შენს ერთგულებას ბზარი დაეტყოთ, ზოგი ფარულად
 განზე გავიდა,
 მიტომ მობრუნდი პოლიტიკაში, ცდილობ,
 ააწყო გუნდი თავიდან?

ბიძინა - ეს ზღაპარია, თითქოს, წაველი. პოლიტიკიდან
 წასვლა იქნება?
 მთელი სიცოცხლე პოლიტიკაა, სანამ ღვთის
 ძალით გარდაიქმნება,
 მხოლოდ ეგაა, დრო და ასაკი პოლიტიკაზე ახდენს
 გავლებას:
 ბავშვი სხვა არის, მოხუცი სხვაა, თავისებურად
 ელტვიან ლხენას.
 ბავშვი რომ ტირის, ანდა ჯიუტობს, პოლიტიკაა
 მისთვის ასეთი.
 მოხუცი ჩივის, ისიც ჯიუტობს – ბავშვს იმეორებს
 წვეთი და წვეთი.
 მე ტირილს მოვრჩი დიდი ხანია, მაგრამ ჩივილი
 არ დამიწყია,
 რამდენის სისხლი დამიღვია, არც მიდარდია,
 არც ამირწყია.
 თავისით არვინ არაფერს მოგცემს, მე დავაგროვე
 მილიარდები.
 პოლიტიკაა მოგებ-წაგება, საქმეშიც არვის
 დავუვარდები.
 დღეს მთავარია მეორე ტური, რაც ვთქვი,
 ბოლომდე რომ გავიტანო,
 პოლიტიკის ცვლა შენ მერე ნახე – რამდენს ვამღერებ
 „ტანო ტატანო“!..

ჟამთა მროველი - ეგ პოლიტიკა შეპირებების
 დღეს თუ გიმართლებს, ხვალე რას ელი?



მისგან სხვაობით დავითაშვილი, კრიტიკის გამო,
 ჩამოვიცილე.
 თითქოს ჩათავდა ღმერთიანობა, მაგრამ ხიფათი
 ვერ ავიცილე:
 ტვინი ნაილო უსუფაშვილმა თეორიებით,
 ფუჭი ყბედობით,
 მეცნიერებას ეძებს ჰაერში, ენის ტრიალი
 დაჰყვა ბედობით.
 სხვა რა უნდოდა, პარლამენტს ფლობდა,
 გენიოსობის გახდა მოსურნე.
 ბოლოს გამჟღავნდა, ცოლი სძალავდა,
 გამინისტრება უნდოდა თურმე.
 სამხედროების მინისტრად დავსვი, იცი, რას ჰგავდა.
 რას მინისტრობდა?
 ბევრს კი ცდილობდა, რას მიაღწია?
 რა იყო მისი საქმე, ვერ გრძნობდა?
 ყველას არ ვიტყვი, მათგან სხვაობით ჟორჟოლიანი
 და ძიძიგური
 მიხვდნენ, ვინ მეფობს, ფეხქვეშ გამიწვენენ,
 როგორიც მსურდა დავლეს დავლური.
 ჟორჟოლიანი – გასაგებია, მამისგან ბევრი გადაუღია,
 ძიძიგურია გასაოცარი, დიდკაცობისთვის სულ არი ღია.
 აღარას ვიტყვი დანარჩენებზე – თალაკვაძეა
 თუ მდინარაძე –
 საიდან მოხვდნენ ჩემთან, არც ვიცი. მხოლოდ ის ვიცი
 რომ კობახიძე
 მამამ გამაცნო და შემავედრა. გია, ვიცოდი,
 იყო დამჯერე,
 ვიფიქრე, ესაც ბუნებრივია. შვილი იზრდება,
 მამას სცვლის მერე
 და გამიმართლა: ირაკლიმ მალე აულო ალლო
 ამ ვითარებას,
 პრეზიდენტს ეცა, გადაუარა, დეპუტატების
 მოაჯდა კრებას,



კონსტიტუციაც ისე შეცვალა, როგორც იცვლება
 ჩემი გუნება:
 თუ ასე მინდა, ასე იქნება, არ დამჭირდება
 შემობრუნება,
 თუ ისე მინდა, ისეც გამოდის, მზე რომ ანათებს,
 მთვარეც ამოდის.
 ვის ავამალლებ, ვის დავამცირებ, ვის ეკითხება
 ასე რად მოსდის,
 მთავარი არი, რომ ჩემი ნება, ყველამ გაიგოს,
 როგორც ბრძანება,
 არჩევნებს მოვრჩე, შენ მერე ნახე,
 ოპოზიციის მოვსპო ხსენება.

ჟამთა მროველი - დიდი კაცი ხარ, საგოგმანები,
 დიდებულების გმონებს კრებული,
 ჭაობში მჯდომი ასე მიიჩნევ,
 ფრანგულ სუნამოს მირონცხებული,
 შე დალოცვილო, თავად ამბობდი, ცხოვრება არ დგას,
 მუდამ იცვლება,
 ვინც მოიცილე ან მოიცილებ, ამით ქვეყნად რა
 გამოიცვლება?
 ჯერ ერთი, ყველა არ გიყიდია, მათში ბევრ ცნობილს
 არ ედო წვლილი,
 ნაყიდებს შორის არასდროს ჩანდნენ ბურჯანაძე
 და ნათელაშვილი.
 არადა, იცი, მათი მომხრობა, შენს საქმეს ძალას რომ
 შემატებდა,
 იქნებ ეცადე და ვერ იყიდე, გეყიდა, ნაყიდს ხომ
 არ ავნებდა?

ბიძინა - ნათელაშვილი... შენც კაცი ნახე, რომელსაც
 უნდა მოვფერებოდი!..
 გული მატკინა მან თავის დროზე, იქით
 რად უნდა შევშველებოდი?



ზოგი ჭირი რომ მარგებელია, მოხუცი ხარ
 და გაგეგონება,
 პირის ფალარათს ვერ მოიშორებს, თუ ლაპარაკის
 მიეცი ნება,
 პრეზიდენტობის სურვილით იწვის და ჩემი ლანძღვით
 ქულებსაც იწერს.
 მისგან გინება სახელსა მმატებს, მლანძღოს და ნახავ,
 რა ჩიტს დაიჭერს.
 ბურჯანაძე კი სხვა არი სული, კულტურული
 და განათლებული,
 მის ფონზე, მართლაც, გლახივით ვჩანვარ,
 ყველა ასპექტით დამდაბლებული,
 მასთან კონტაქტი, ფიქრობ, არ ვცაადე?
 შემოვლითი გზით და ვერას გავხდი,
 სხვასთან ვერ ვიტყვი ამ საიდუმლოს, შენ მიგახვედრებ
 და ფარდას ავხდი.
 მიშას, ზურას და ნინოს¹ ერთობას ხელი შევუწყვე,
 მტკიცედ შევკარი,
 ფინანსიური მე ვიყავი წყარო, მათი იმედი,
 ხმალი და ფარი,
 წლობით ვარჩენდი მათ მოძრაობას თუ უძრაობას,
 კარგად გაიგე,
 ბიუჯეტს ხშირად უხვად ვუვსებდი, ამას რა სდევდა,
 წინ გზად დაიგე.
 შესაბამისად, ბურჯანაძემაც კარგად იცოდა
 ავი და კარგი,
 ეს მეგობრობა ასეთი იყო: რამდენს მივცემდი,
 იმდენს ვივარგი.
 მათი ერთობა მალე დაირღვა, ერთურთს ჭიდილში
 ტოლს არ უდებდნენ,
 ერთიმეორის აღარ ესმოდათ, ჩემნაირს ცალკე
 რას გაუგებდნენ.

1. მიშა სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე – 2003 წ. ე. წ. ვარდების რევოლუციის ბელადები.



როცა უვანია ჩამოიცილა, სააკაშვილმა
 ფრთები გაშალა,
 ბურჯანაძემაც ხიფათი იგრძნო, გზას ჩამოსცილდა,
 ნყენა დამალა.
 მე რაღა მექნა? – მძევლად ვიყავი, მიშას ფინანსებს
 ვერ დავაკლებდი,
 ნოემბრის¹ რბევას ვაფინანსებდი, ჩემს იმპერიას
 ვერ ავიკლებდი,
 მაგრამ დავფიქრდი,
 ისტორიულად ტრიუმფირატი დროებითია,
 უვანია უკვე ჩამოიცილა, ჩემი დანდობა მისგან მითია,
 მით უფრო – ნინო უკვე გარიყა, არ მოკლა,
 მაგრამ არც გაახარებს,
 მე ვინ მიშველის, რა დამიფარავს, გამაკოტრებს
 და გადამაგვარებს.
 როცა ჩავიდე გულში ამბოხი, ნინოს ვერ ვენდე,
 ვერ შევეკარი,
 ვერ დავდგებოდი სუსტების გვერდით, ვერ გახდებოდა
 ის ჩემი ფარი.
 გზები გაიყო: ისიც არ მენდო, ჯერ კიდევ მიშას
 გვერდით ვიდექი,
 ცოდნით, კულტურით ბევრად მჭარბობდა – ის იყო მთა
 და მე ვიყავ ბექი.
 როცა ავჯანყდი, სხვები ვიყიდე, ნინოს, ვიცოდი,
 ვერ ვიყიდიდი,
 ერთად ყოფნაც არ გამოდიოდა, ვერ გავხდებოდი
 მე მასზე დიდი.
 მის ჩრდილში ყოფნაც აღარ მინდოდა, დავმცირდებოდი
 ნაყიდთა თვალში,
 ხარჯი ჩემია, სახელიც ჩემი, რატომღა ვდიო
 ნაყიდებს კვალში?

1. 2007 წ. ნოემბერში ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია მიტინგი.



ჟამთა მროველი - რაც იყო, იყო... შენ შესძელ ბევრი,
 ბრძოლაში მარტო ხომ არ იყავი?
 კოალიცია ზურგს გიმაგრებდა, რატომ დაშალე
 და გაიყავი?
 ახლა ისინიც ხომ შენ გებრძვიან, ბევრს ვერ გაკლებენ,
 მაგრამ ცდილობენ,
 დაქსაქსულები გულის არ იტეხენ, საქმეს ვერ სდევნენ,
 სიტყვით გმირობენ,
 შენ ყველა მოსპე, მიშას პარტია შემოინახე და აძლიერე,
 თუ ისევ ისე გაგრძელდა საქმე, რას მოგიწყობენ,
 მიხვდები მერე.
 მერე კი არა, ოქტომბრის ბოლოს, პირველი ტური
 კიდევ მოიგო,
 როგორც ცხოვრობდი, ველარ იცხოვრებ,
 უნდა იფიქრო, უნდა გაიგო.
 რაც შვიდი წლის წინ პირობა დადე, ხალხს რაც
 შეპირდი, რა შეასრულე?
 ღარიბი მეტად გააღარიბე და ავადმყოფი კი
 დაანყლულე,
 როდემდე გინდა, ქვეყანა ძარცვო, ოქრო აგროვო,
 ბნელ გზით იარო?
 მოძმეს უგანო, მტრები ამრავლო, სხვისი დარდი
 არ გაიზიარო?

ბიძინა - მე ხომ გისმინე, ახლა მადროვე, შენ გახსოვს,
 შევქმენ კომისიები,
 ქვეყნად რა იყო საკეთებელი, დავანერინე
 გრძელი სიები,
 მე რაღა მექნა, თუ მათი დასკვნა სიმართლეს
 სულაც არ ასახავდა? –
 მეცნიერები ასეთნი იყვნენ: მათი სიებიც მათ
 ცოდნას ჰგავდა.
 ბევრი ვეცადე, ცოტა შევძელი, ჩემი კი არა,
 მათი ბრალია,



რაც ვერ გათვალეს, არ გამოვიდა და ჩაიღურის
 ნყალი დალია¹.
 ამიტომ ხედავ? – გვერდით აღარ მყავს
 ტიტულოვანი მეცნიერები.
 თუ დამჭირდება, უცხოელს ვინვევ, ფულს ვუხდი
 ძმად კი არ შევეკვრები,
 ამ არჩევნების პირველი ტური გამახსენე და
 ნიშნი მომიგე.
 შენ რომ არ გეთქვა, ვერ მივხვდებოდი?
 შენ ჩემი ჩემზე კარგად გაიგე?
 ვიცი და ზომაც მაქვს მიღებული. ისეთი ვინმე
 მყავს მონვეული,
 ებრაელებშიც ებრაელია, მხოლოდ მოგებას
 არის ჩვეული.
 ევროპა იცნობს და ისრაელი, ახალგაზრდაა,
 გაქნილად ძველი
 ასეთი სქემით შეუდგა საქმეს: ოპოზიცია ძალაა ბნელი.
 გრიგოლს არ ვერჩით, ნაციონალებს ის მძევლადა
 ჰყავთ და იყენებენ,
 ფაშისტებია იქ თავშეყრილი, სიმართლე უთხრა,
 გაიგონებენ?
 სიბრიყვე სძალავთ, რადგან ფიქრობენ,
 პირველმა ტურმა შემატა ძალა,
 სასწორი მათკენ გადაიხარა და მე საყრდენი
 გამომაცალა.
 კარტები გახსნეს, გამოაჩინეს ბოკერიები, უგულავები,
 მიშას ხშირ-ხშირად ეკრანით ვხედავთ
 და საზღვარგარეთ ნაგულავები

1. „ჩაიღურის ნყალი დალია“ – ნიშნავს შეუსრულებლობას, უიმედობას, მოლოდინის გაცამტვერებას. ცნობილი გამოთქმა მომდინარეობს XVIII საუკუნის ლეკიანობიდან, როცა მარბიელები ქართლში მოიალაფებდნენ, თუ ქართლის მღვევარ რაზმებს მდინარე ჩაიღურის მეორე მხარეს გადაასწრებდნენ, საიდანაც კახეთის სამეფო იწყებოდა, ნაძარცვის დაბრუნების იმედი აღარ არსებობდა.



ხალხს მოუწოდებს სისულელეებს, მალე ჩამოსვლას
 კიდეც ჰპირდება,
 თუ ხმას მისცემენ ნაციონალებს, ხალხს აღარასდროს
 გაუჭირდება.
 საცოდავები იმდენს ვერ გრძნობენ, ხალხს ისინი
 სძულს და ეზარება,
 ხალხიც სცილდება იმათ პლატფორმას, ეს კი ჩემს საქმეს
 მიეხმარება.
 მე, ჩემი მხრიდან, ხალხს მივეფერე, მიმართვის ტექსტი
 გავახმაურე¹.
 თან ვაღიარე შეპირებულის აღსრულება
 რად დავაგვიანე.
 პირობა დავდე, თუ ხმას მომცემენ, ეს მე მომცემენ,
 მე ამირჩევენ,
 ეს იმას ნიშნავს, კვლავ მენდობიან, არ გამწირავენ,
 ზურგს არ მაქცევენ.
 სანაცვლოდ, ვფიცავ, ერთ წელიწადში
 ყველა შეცდომას გამოვასწორებ,
 გაჭირვებულებს შევეხიდე, უვარგის
 კადრებს ჩამოვაშორებ,
 ამავე დეოს ხედავ? ზურაბიშვილი აღარას ამბობს,
 არავის ხვდება,
 არჩევნებამდე მისი ნათქვამი ამომრჩეველსაც
 დაავიწყდება.
 კიდეც ბევრი მაქვს ჩაფიქრებული,
 რომ ჩემი ხალხის მოვიგო გული,
 ოპოზიციას ვინც ტაშს უკრავდა, ჩემი პარტიის
 გახდეს ერთგული.

ჟამთა მროველი - წინასწარ ბევრი რამ გაგიტვლია,
 მაგრამ რა იცი, როგორ ახდება?
 ხალხი ჭრელია: ერთს ერთი უნდა, არ ენალვლება
 სხვა თუ წახდება.

1. მხედველობაშია 04.11.2018 წ. სატელევიზიო მიმართვა.



შენგან აიღეს ეს მაგალითი, სიმართლისათვის
 ხომ შენ იბრძოდი?
 ხალხს მის აღდგენას შენ ჰპირდებოდი, არ იზრუნებდი,
 კარგად იცოდო.
 ოთხმოც მილიონს დაიბრუნებდი, რომელიც
 მიშამ შამოგანწერა,
 ოცსაც კალაძე დაიბრუნებდა, აღსრულდებოდა
 ეს ბედისწერა.
 დანარჩენი კი არ გინალვლია, ყველა თავისას
 უნდა ეცადოს,
 ექვსი წელია, ელოდებიან, ეგებ დაიწყოს,
 აღარ გადადოს.
 ბევრი მიგიხვდა და ჩამოგშორდა, ბევრმა კი გულში
 ჩაიდო წყენა,
 შენ ნაჭუჭში ხარ გამოკეტილი, უსასოების
 არ გესმის ენა.
 უფრო მეტს გეტყვი, შენი მეთოდი: მლიქვნელებს
 მისცე გზა-გასაქანი,
 სხვები ჩაძირო, „შუა გაკრიფო“, გაშიფრულია
 საკმაო ხანი.
 როდემდე გინდა, ხალხი გათიშო – შენად
 და სხვისად დაახარისხო,
 შენებს ეფერო, სხვები ატყუო, დააბეჩავო,
 არ განარისხო.
 ეს ერთი წელიც გაივლის მალე, მერე ხალხს
 სადლა დაემალები?
 დრო კიდევა გაქვს, მიმოიხედე, ნუ დაიბრმავე
 ძალით თვალები,
 ხალხს ყური უგდე, ხალხი ბრძენია, ვინც ინანიებს,
 იცის შენდობა,
 თუ ვერ მიხვდები, თავს დააბრალები,
 აღარ გექნება მერე დანდობა.



(პარლამენტის შენობის წინ მოედანზე კარგებია გაშლილი. მოჩანს ზვიად კუპრავა, ზაზა სარალიძე, მალხაზ მაჩალიკაშვილი, იქვე ახლოს რამდენიმე მოქალაქე და მორიგე პოლიციელები)

ზვიადი - დღეს რთული დღეა, სიფრთხილე გვმართებს,
 დაგეგმილი აქვთ პროვოკაცია.
 შეეცდებიან ზაზას დაჭერას, რომ აირიოს სიტუაცია.
 ერთხელ ხომ შეძლეს: ნონასწორობა
 დაგაკარგინეს და გვაზარალებს,
 პოლიციელებს ვითომ რომ სცემე,
 ამით ქულებიც ხომ მიითვალეს,
 ტელევიზიით ისე უჩვენეს, კეტს ურტყამდი
 და ხარ დამნაშავე,
 გაგვანამებენ ამის გულისთვის, მესმის,
 რომ თავი ვერ შეიკავე.
 დღეს მეტს მოველი ამათი მხრიდან,
 მეტი სიფრთხილე ამიტომ გვმართებს,
 თუ შეძლეს შენი აყოლიება, გაიხარებენ
 და გაშლიან ფრთებს.

მალხაზი - ამათ ნამუსი არა ჰქონიათ,
 ჩვენ ვამაყოფით სხვა ქართველებით,
 ძმები ვიყავით, ძმები ვიქნებით
 და ამათ გამო არ ავიშლებით.
 შვილმოკლულ მამებს ვინც ხელს შეუშლის
 და შეეცდება, დაფაროს მკვლეელი,
 ის ნორმალური არა ყოფილა, ან ბოროტია,
 ანდა სულელი.
 ჩვენ, პანკისელებს¹, ქართველებისგან ბევრი კარგი
 გვაქვს შეთვისებული,
 ერთნაირი გვაქვს ტრადიციები, ერთნაირად სცემს
 კაცური გული.

1. პანკისის ხეობაში ქართველებთან ერთად ქისტები ცხოვრობენ კომპაქტურად. თანაცხოვრების განმავლობაში მათ ბევრი საერთო რამ გამოიმუშავეს, მათ შორის ტრადიციები.



ახლა რა ხდება, რატომ ვშორდებით, რად გადვიმტეროთ
 მოკეთე, ძმები?
 მძინარე შვილი სახლში მომიკლეს,
 მკვლელს თუ არ დავსჯი, ვერ დავმშვიდდები,
 სიმართლეს ვეძებ, წელიწადია!.. წელიწადია,
 მკვლელს მიმაღავენ!..
 მთავრობა არის მკვლელის მფარველი,
 მთავრობის ძალით გზებს შემიკრავენ,
 უნამუსოა, ვინაც იძახდა: მენდეთ, სამართალს
 მე დავამყარებ,
 სამართლის მძებნელს მე გავახარებ
 და დამნაშავეს დავასამარებ,
 ახლა სადაა, სად იმალება ნუთუ კაცობა არ შერჩენია?!
 ვინც მკვლელს იფარავს, ისიც მკვლეელია,
 ის ქართველია თუ ჩეჩენია.

ზაზა - შვილი მომიკლეს, სამართალს ვეძებ. ვიცი,
 ვინცაა შვილის მკვლელები,
 მთავრობა იცავს მკვლელთა მფარველებს.
 შებოჭილი მაქვს მისგან ხელები.
 ვითომ, სწარმოებს გამოძიება: დრო გაჰყავთ,
 არ ჩანს – რას იძიებენ,
 ფუჭად მოწმეებს ახარისხებენ, თან არ ამხელენ
 ბრალს ვისა სდებენ.
 იძულებულმა გამოვიკითხე, როგორ რა იყო,
 ყველა გავიგე,
 მკვლელებს ვუთითებ და არ იჭერენ,
 მე გავხდი მათი საქმის გამრიგე,
 ბოლოს ბიძინას მივმართე თხოვნით, შენც ხომ მამა ხარ,
 დამიდექ გვერდით,
 აქეთ დამცინა!.. ღმერთს ვევედრები, რაც კაცები ხართ,
 ისე დაბერდით!..
 ვისაც ხელთა აქვს ძალაუფლება,
 ისინი ფულზე იყიდებიან,



ვინც გადაუხდის, იმას ჰმონებენ, მომავალს ვნებენ,
ვერა ხვდებიან.
დღეს ჩემი შვილი, ხვალე კი სხვისა
და ასე ბევრი დაგველუბება,
თუ სამართალი არ დავამყარეთ, უსამართლობა
არ გვეპუება.
სამართალს ვექებთ, სისტემას ვებრძვით.
უსამართლობის მოვსპოთ სისტემა,
ახალგაზრდობა თუ ჩაგვიხოცეს, ერს არ ასცდება
გლოვა და გვემა,
ამიტომ ვთხოვე შვილმოკლულ მშობლებს გვერდში
დაგვიდგნენ, ერთად ვიბრძოლოთ,
პარტიებს ვთხოვე, მოქალაქეებს,
უარი მითხრა ბიძინამ მხოლოდ.

ზეიადი - მოსახლეობა დაყოფილია: ეს ახალია, ის ყოფილია,
ეს მდიდარია, ის ღარიბია, აზომილია, აწონილია,
ის ნაყიდი, ეს გასაყიდი, ის ჭკვიანია, ესაა ფლიდი,
ის სანდო არის, ჩვენია, ეს საექვოა და მოსარიდი...
მმართველ პარტიას ვერვინ წაუვა,
სულ ყველას სწავლობს, სულ ყველა იცის
სულ უთვალთვალეებს და ახარისხებს,
რამდენად არის ერთგული ფიცის.
შედეგებს ზევით ბიძინას აცნობს – ის დაიწუნებს
ან მოიწონებს.
ყველას ფასს ადებს და ევაჭრება, ასე ყიდულობს
მინისტრად მონებს.
მთავრობას ვარქმევთ მონების კრებულს,
მისი ბანკიდან გამოჩევილებს,
ბიძინა არის იმათი ღმერთი და მის ნასუფრალს
ვინ ითაკილებს?

მალხაზი - მთელი ცხოვრება შრომაში გავლე,

ვერ დავაგროვე რამე ქონება,



პანკისელებიც ჩემნაირი მყავს, მათი კაცობაც
 მომენონება.
 თბილისში მოველ და რა ვიხილე?! – მთავრობაშია
 ქურდების ხროვა,
 მათი იმედი როგორა მქონდეს? მათგან სიმართლე
 როგორ გამოვა?
 ქართულ ოცნების პარტია არქვეს, ნუთუ,
 ესაა ხალხის ოცნება?
 უფრო ქურდული ოცნება არის – ქვეყანას მართავს
 ქურდების ნება!..
 გამიგონია, ადრე ქურდები ხალხს გაურბოდნენ,
 ერიდებოდნენ,
 ყაჩაღნიც ტყეში იმალებოდნენ,
 მსხვერპლს დარაჯობდნენ, გზაში ხვდებოდნენ.
 ახლა რას ვხედავ, რაები მესმის? –
 ბუნაგი დადეს კაბინეტებში,
 წესრიგს, სამართალს ვითომ იცავენ,
 არ გადადიან მეტის-მეტებში.
 მას სჯერდებიან, რასაც მთავრობა ხელფასის სახით
 წილს გამოუყოფს,
 „პრემიას“ მისცემს და დანამატებს, აღარ იხმარენ
 ხანჯალსა და თოფს.
 მომრავლებულან, გალალეებულან, მურუსიძენი,
 ფარცხალაძენი,
 თავს ბატონებად წარმოიდგენენ
 ბიძინას ძენი და შენაძენი
 ესაც არ ჰყოფნით, სულ მეტი უნდათ, გზებს დაეძებენ,
 კიდევ აგნებენ,
 მარიხუანას დაგვითვისავენ, ბალ-ვენახიდან
 განმოგვაგდებენ,
 ასეთ დროს ვისი გვექონდეს იმედი?
 შვილმოკლულ მამებს ვინ დაგვიფარავს?
 რისხვით ვივსები, მეზიზღებიან, ამათი ხილვა
 მთრგუნავს და მზარავს.



ზვიადი - ბარიგა, ვინაც წამლის გაყიდვით შეძლო
 და შეკრა მილიონები,
 ბუნებრივია, სარფიან საქმეს, არ შეეშვება
 თავისი ნებით,
 უფრო პირიქით, თავადაც ნახე, როცა დაირქვეს
 „თეთრი ხმაური“,
 ჯანყი დაიწყეს, პარლამენტის წინ მოაწყეს
 დიდი აურზაური,
 ნარკომანები მიტიგეს მართავენ,
 მთავრობას იქით ემუქრებიან,
 თუ არ დაესვა პროცესს წერტილი,
 მერე ვიშ-ვიში იქნება გვიან,
 ახალგაზრდობა გადააგვარეს,
 მოუმნიფარი მოსწავლეები,
 მთავრობის ხალხი მფარველობს იმათ,
 მოგება არის ბრძოლის თანმხლები.
 ახლა გამჟღავნდა, თავად ბიძინას, ამ მხრივ,
 ჰქონია დიდი გეგმები,
 ბალ-ვენახს მოსპობს, რომ გააშენოს
 მარიხუანას პლანტაციები,
 ხუთჯერ იზრდება თურმე მოგება
 (ვისი – არ უთქვამს, იგულისხმება),
 დიდი ამბავი, თუ წამლის ძალით ახალგაზრდების
 ჯანი ჩახმება,
 მადლობა უფალს, ხალხმა იმძლავრა,
 სამღვდელოებამ ხმა ამოიღო,
 შედრკა ბიძინა, პარლამენტიდან თავის
 კანონი უკან წაიღო.

ზაზა - როდის ვამბობდი: მშიშარასათვის
 მუხანათობა არი გმირობა,
 შვიდი წელია, ხალხს ატყუებენ, საქვეყნოდ დადეს
 ვითომ პირობა,



რასაც დაგვიპირდნენ, რა შეასრულეს?
 არცაა მათგან ამის იმედი,
 მტარვალს გავაგდებთ – მტარვალს მოდის,
 გაჭირვებულთა ესაა ბედი?
 ბიძინა რატომ იქნება კრავი, ხალხზე მზრუნველი,
 ნაკლებ მძარცველი?
 ასს რომ მოგპარავს, ათს დაგიბრუნებს,
 ათის გულისთვის გვეგონოს ქველი?

ზვიადი - პოლიტიკაში არ გადავდივარ, მე ჩემი ჯავრი

მალაპარაკებს,
 მთავრობის ხალხი უნამუსოა, არ დავიჯერებ
 მაგათ არაკებს.
 ერთი შევნიშნე, როცა როგორ სურთ,
 საქმეს უკულმა ატრიალებენ,
 ზევით მყოფებს არ შეეხებიან, ამით საკუთარ
 თავს არ ავნებენ,
 ჩემისთანები, თქვენისთანები, სრულფასოვანად
 არ მიუღიათ,
 მუშა და გლეხი უმუშევარი როგორ ცოცხლობენ,
 ვერ გაუგიათ,
 მთავარი არის იშოვონ მეტი, რა გზით
 და ვისგან – სულ ერთი არი,
 რამდენსაც ვითმენთ, თავს გადადიან, დროა,
 დავრეკოთ განგაშის ზარი.
 ხედავთ? ბიძინამ აქაც დაგვასწრო,
 მომხრეებს უხმო დასამარებლად,
 უცხოელებიც მოუნვევია მრჩევლებად,
 გულის გასამაგრებლად,
 თან აცხადებენ, რომ არ იციან,
 როდის იქნება მეორე ტური,
 ჩვენს ყურადღებას მოადუნებენ,
 რომ არ ავტეხოთ დროით ხმაური.



ამავ დროს, თითქოს, შეთანხმებულად ოკუპანტები
 გააქტიურდნენ,
 სოფელ ატოცთან ლობეს ავლებენ,
 ჩვენებიც მიჯრით რომ ახმაურდნენ.
 თქვენ დაუკვირდით, დღეს ვისლა ახსოვს გინდა სალომე,
 გინდა გრიგოლი¹,
 მათი პროგრამა თუ ვინმემ იცის, ვინ რაში მეტობს,
 რაშია ტოლი,
 პრეტენდენტების ურთიერთდავა ჩრდილში მოექცა,
 სხვაა საბრძოლი.
 ნაცებ-ქოცები, მიშა-ბიძინა,
 რომელი მეტად არის მიმწოლი?
 ბიძინამ უკვე გამოაცხადა, ყველაფერზეა
 თავად წამსვლელი.
 ოღონდ სალომემ გრიგოლს აჯობოს
 და სალაროსკენ წაიღო ხელი,
 მიშა მომხრეებს შორით აქეზებს, მალე ჩამოსვლას
 კიდევც ჰპირდება.
 ნუთუ, ვერ ხვდება, რაც უნდა გასცეს,
 მილიარდელთან გაუჭირდება.
 მოლაპარაკე მომხრეები ჰყავს ბიძინას ერთად
 დაბარებული,
 ოპერის ახლოს იკრიბებიან, დანაპირებით
 გახლებული.
 მოდი, შევიდეთ სამნი კარავში, მომიტინგეებს
 იქ მოვუსმინოთ,
 მერე განვსაზღვროთ სამოქმედო გზა:
 რა გავამხილოთ, რა დავითმინოთ.

**(კარავში შედიან. ტელევიზია უჩვენებს ოპერის წინ შეკრებ-
 ბის მონაწილეებს, რუსთაველის თეატრს)**

მიტიინგი უკვე დაწყებულია. რა იყო,
 რა თქვეს მერე გავიგებთ

1. მხედველობაშია პრეზიდენტობის კანდიდატები: სალომე ზურაბიშვილი და გრიგოლ ვაშაძე.



აფხაზეთისკენ მიმოვდიოდი. მე რა შემეძლო,
 თუმცა გმირად ვჩანდი.
 ერთი დრო იყო, ნაციონალებს მხარი ავუბი
 და ვიფარავდი.

შორიდან ვმზერდი მათ მოქმედებას,
 მაგრამ მათსავით არ ვიპარავდი.
 როცა შევატყვე, გზა გაამრუდეს
 და ფაშისტებად ჩამოყალიბდნენ,
 გვერდით გავდექი, გავაკრიტიკე – რომ მტერი გავხდი,
 მაშინლა მიხვდნენ.
 მე მათზე ფილმიც გადამიღია, ხალხმა ხომ ნახა –
 გაითავისოს,

უნდა შეიძლოს შურისძიება, იმათი
 ზიზლით გული აივსოს.

ამ პროვინციულ ფაშიზმს რომ ვითმენთ,
 ჩვენი ღირსება ხომ ილახება?
 დაფიქრდით ყველა, თუ არ ავმხედრდით,
 სახელი ჩვენი შეინახება?
 მკვლელებს, მწამებლებს ჩვენ თუ არ დავსჯით,
 ბნელი წარსული განმეორდება.
 ნაცები ქოცებს თუ აჯობებენ, არავინ იცის,
 აქ რა მოხდება.

ჩვენ წინ გავწიოთ, გამარჯვებისკენ,
 ბიძინას კვალზე მტკიცედ ვიაროთ
 დამასთან ერთად მეორე ტურში წარმატებები
 გავიზიაროთ.

კობა დავითაშვილი - რაც დღესა ხდება, ჩვენი ბრალია,
 ნაცები თავად გავათამამეთ,
 როცა მოვუგეთ მათ არჩევნები, კი არ დავსაჯეთ,
 იქით ვაამეთ.
 რომ აგვეკრძალა მათი პარტია
 და დაგვესაჯა ხელმძღვანელები,



დადუმდებოდა იმათი ენა,
 დამოკლდებოდა მათი ხელები.
 როცა ბიძინამ კოალიცია შექმნა,
 მეც ვიყავ მათში წამყვანი,
 ეს მე ვითხოვდი ზოგ-ზოგის დასჯას,
 ველოდებოდი საკმაო ხანი.
 ფუჭი ლოდინი არა მჩვევია, ფუჭად ლაყობას
 არ ვარ ჩვეული,
 ბიძინას ვუთხარ, რასაც ვფიქრობდი –
 ბელადი იყო გამორჩეული.
 ჩემი ნათქვამი არ მოეწონა, არ გავტყდებოდი,
 ესაც იცოდა,
 უკმაყოფილო გავდექი განზე, ძმობის
 ხელი არ გამომიწოდა.
 ახლა ხომ ხედავთ, ნაცების ქცევას? –
 ნიშნავს, ვიყავი მაშინ მართალი,
 იგივეს ვიტყვი, მტყუანს თუ იცავ,
 როგორღა გინდა, ქმნა სამართალი?

ირაკლი ბათიაშვილი - რაც რომ დრო გადის,
 მეტად მრცხვენია, ისევ ნაცების მიწევს გინება,
 ვისი ბრალია მათი პარპაში, მათი დარაზმვა,
 გამოჩინება,
 ხელისუფლებას ჩამოვაცილეთ, დაიფანტნენ
 და შეძვრნენ სოროში,
 ოცნებამ ძალით გამოაძვრინა, ოცნება გახდა
 მათი სოროსი –
 ასე ვფიქრობდი და ჩემნაირად, ასე რად მოხდა,
 ბევრმა იცოდა,
 ბოლოს გამჟღავნდა, ბიძინამ გათქვა, ნაცების ცოდვით,
 თურმე, იწოდა,
 აფინანსებდა იმათ პარტიას, ტყვია-წამალსაც
 ის ყიდულობდა,



ოპოზიციას რომ დაარბევდნენ, ჭკვიანი იყო,
 ნუთუ, ვერ გრძნობდა?
 მე ასე ვფიქრობ, მან სხვისი ხელით ბადრის¹
 პარტია ჩამოიშორა.
 სურდა-არ სურდა, მკვდარ-დაჭრილისგან,
 წლების მანძილზე ხომ დადგა გორა?
 ნაცების ცოდვა მასზეც ვრცელდება,
 არა სჭირდება ამას ხელდება.
 ბოლოს, როდესაც მასაც მიადგნენ
 და ნაუყენეს ფულით ბრალდება,
 გონზე მოვიდა, შექმნა პარტია, იბრძოდა
 ბოლო გამარჯვებამდე.
 მაგრამ რად გინდა ის გამარჯვება,
 გამარჯვებულად თუ არ გსურს, ჩანდე?
 ნაცებმა ბევრი საქმე აკეთეს და ბევრი
 ცოდვა დაატრიალეს:
 კოდორი დათმეს და ახალგორი,
 ლტოლვილთა მასა აანრიალეს.
 ბევრს კარგად ახსოვს ციხეში ჩამსვეს, რატომ? –
 თავადაც რომ არ იცოდნენ,
 ახალგაზრდები ამოგვიხოცეს, ვისი ცოდვითაც
 უნდა იწოდნენ.
 ბიძინას მიერ დანდობილები ახლა ბიძინას
 აქეთ ებრძვიან,
 „ოცნებას“ თუ არ გავაძლიერებთ,
 ჩვენთვის ნავარდი გახდება გვიან.
 ხედავთ? ბიძინას დაძახებაზე, ხელის გაშლაზე,
 დაპირებაზე
 მოძრაობაში მოვიდა ყველა, ისმინეს,
 მიხვდნენ რატომ და რაზე.
 ჩვენ ვერ ვუგანებთ საერთო პროცესს,
 ბელადს შევფიცოთ, ჩვენი ვალია,
 მეორე ტური მოვაგებინოთ, მოგება მისი მოსავალია.

1. მხედველობაშია ბადრი პატარკაციშვილი.



გორა ძასობოვი - მრავალ ეთნოსის დედა-სამშობლო

ყოველთვის იყო კავკასიონი,
დავაც ჰქონიათ მისი გულისთვის, მიზეზიც ჰქონდათ
გამონაგონი.

ჩხუბისას თუ რამ დაუნგრევიათ,
შერიგებულებს უშენებიათ,
ერთი ჰქონიათ ჭირი და ლხინი

და ერთად ყოფნა უნებებიათ.

ბოლოს რომ ურთერთს ვერ მოურიგდნენ,
ჩვენ თვალწინ იყო, მიზეზიც ვიციოთ,
უნდა დამთავრდეს გაუტანლობა,

უნდა შევიკრათ ერთგულთა ფიცით.
ძნელი არაა, თუ მოვინდომებთ,

ნაბიჯს გადავდგამთ შესარიგებლად,
სიჯიუტეა სულელის ხვედრი, ბრძენს მოთმინება
დაჰყვება მხლებლად,

ფუჭად ლაპარაკს არა აქვს აზრი, ფუჭად მსჯელობას
არ მოვედები,

თუ დააქვრივა ამ ჩხუბმა ვინმე, ჩვენი შვილები,
დები, დედები,

ჩვენ მოვინდომეთ, როგორც შევძელით,
სოჭში მოვანყეთ მათი შეხვედრა,

უნდა გენახათ მათი ცრემლები, ვინ ვის შესტირა
და რას ევედრა.

გაუტანლობის ყინული გალხვა, თუ ასე ვივლით,
გზაც გამოჩნდება,

ცდა არ დავაკლოთ, დრო მკურნალია,
ჩვენი ერთობაც ასე აღსდგება.

ლევან გაჩეჩილაძე - ზედმეტ სახელად გრეჩიხა მარქვეს.

რატომ და რისთვის, ვის ეკითხება,
მთავარი იყო რომ ძველებიჭობდი,

ვაკეში ცუდად ვინ შემეხება?



(რუსთაველზე შეკრებილები წავიდნენ თავისუფლების მოედნისკენ, სადაც მსვლელობა დაასრულეს. პარლამენტის შენობის წინ შეჩერდნენ, რათა ათი წლის წინ, 7 ნოემბრის დემონსტრაციის დარბევის დროს დაღუპულთა ხსოვნისთვის პატივი მიეგოთ)

ია მეტრეველი - შვილს ნუ მოუკლავთ დედას, იცოდე,
 რამდენიც შესძელ, რამდენიც სცოდე,
 ერთბაშად ყველა მოგეკითხება,
 რომ საიქიოს კუბრში იწოდე.
 შენც დედამ გშობა, ძუძუ განოვა,
 გულში ჩაგიკრა და ჩაგვექსოვა,
 შენც ხომ გიყვარდა დედის ალერსი,
 ბედნიერება შენით იპოვა
 არა იმიტომ, შენნაირს ავნო, სხვის შვილი მოკლა,
 სისხლი ადინო,
 სიკეთისა და შენდობის ნაცვლად, ზეცას სიავე
 რომ მიაწვდინო.
 როდემდე უნდა ქვეყნად იარო,
 სხვისი დარდი არ გაიზიარო?
 ფუჭი დიდების მოსაპოვებლად ათასის
 თავზე გადაიარო,
 ჩვენ თანავუგრძნობთ შვილმოკლულ მშობლებს,
 ზაზას და მალხაზს¹ ვეხმიანები,
 აქ შევჩერდებით, რომ გავიხსენოთ
 ადრე მოკლული ჩვენიანები.
 მათ შორის ჩემი შვილიც ხომ იყო,
 სადისტოა ხროვამ მომიკლა შვილი,
 მას შემდეგ დავალ თვალცრემლიანი,
 შავში ჩამჯდარი და თმაგაშლილი.
 ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ხელმეორედ
 ნაცისტებს დარჩეთ ხელისუფლება,

1. პარლამენტის შენობის წინ, მოედანზე, ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი თვეობით სხედან სამართლიანობის მოთხოვნით.



ბიძინას მიტომ ვუდგავართ მხარში,
 ჩვენი რიგები არ დაიშლება.
 ბიძინას რჩევით ვირჩევთ სალომეს,
 საპრეზიდენტოდ მიგვიჩნევია,
 სალომეს სახით ვირჩევთ ბიძინას,
 სხვაობა ძნელად გასარჩევია.

(დემონსტრანტები აგრძელებენ გზას თავისუფლების მოედნისკენ)

ზვიადი - დაბინდულია ხალხის გონება,
 ტყუილ-მართალი არეულია,
 ვინც გეთანხმება, ის მართალია, ვინც არა,
 ცრუ და გარეულია?
 დღეს შეკრებილა მრავალ ათასი, რატომ და რისთვის,
 ბევრმა არც იცის,
 მთავარი არის, სხვებს დაენახონ,
 ერთგულებია ბიძინას ფიცის.
 სასაცილოა, ვინაც ერთგულობს,
 ადრე იმათგან ბევრი მტერობდა,
 რამდენიც იყვნენ პრეზიდენტები, მათ მსახურობდა,
 მათთვის მღეროდა,
 ახლაც, შეხედეთ, ვისთვის ზრუნავენ, ვის ადიდებენ,
 ვის აგინებენ,
 თუ მოუნოდებს მათი ბატონი, დაუფიქრებლად
 თავს გადადებენ.
 არადა, თავად ბიძინას ქცევა, მისი ნათქვამი,
 მისი აზრები,
 დაუკვირდები – ულოგიკოა, არც ესმის
 და ნურც დაებაზრები.
 თავიდან ბრძანა, ჩემი პარტია საპრეზიდენტო
 კანდიდატურას
 არ დააყენებს, სხვებმა იზრუნონ, ვის აირჩევენ –
 მელას თუ ტურას.



მერე შეცვალა, მომხრეებს უთხრა: უნდა ავუბათ
 სალომეს მხარი,
 ზურაბიშვილი ნიკოლაძეა ჩვენი რჩეული და გასახარი.
 ოქტომბრის თვეში, არჩევნების დროს
 პრეტენდენტების ათეულები
 ასპარეზიდან ჩამოიცილეს, მაგრამ არ შეხვდათ
 ისე ქულები.
 რომ ეზეიმათ პრეზიდენტობა, რადგან მეტოქე მისი –
 გრიგოლი,
 კიდეც სჭარბობდა – მაშინ დაასკვნეს: ერთი-მეორის
 გამოდის ტოლი.
 უნდა დავნიშნოთ მეორე ტური გამარჯვებულის
 გამოსავლენად,
 ვინაც აჯობებს – პრეზიდენტი და ვალიაროთ
 უმალ მოვლენად.
 ახლა შევხედოთ მათ პერსპექტივებს,
 იმათ რეალურ შესაძლებლობას,
 რომელი რომელს რითი აჯობებს,
 გასწევს უკეთეს ხელმძღვანელობას.
 ასაკით, ცოდნით, გამოცდილებით,
 მეტად-ნაკლებად თანაბარია.
 ერთიც, მეორეც წარმატებულად წყვეტენ იმ საქმეს,
 რაც აბარიათ
 და დაადგინეს: მთავარი არის ძალა, რომელიც
 მათ ზურგს უმაგრებს.
 შეჭიდებაში ის გამარჯვებს, ძლიერ მომხრეებს
 რომელიც შეკრებს,
 გრიგოლს მასები მხარს რომ უჭერდნენ,
 გრიგოლს უჭერენ მას პიროვნულად.
 როცა მის გვერდით სხვები გამოჩნდნენ,
 სურვილი გათქვეს არა ფარულად,
 მისი სახელი ჩრდილში მოექცა,
 პარტია გაჩნდა ნაციონალთა.



ხალხს ვინცა სძულდა, მასში განივთდა,
 გრიგოლი ჩანთქეს ჩრდილოვან ძალთა¹
 სანაცვლოდ, აქეთ სალომეს მომხრეთ,
 სხვა მარიფათი გამოაჩინეს,
 ყველგან ბიძინა განდიდებული,
 სალომე არსად არ დაარჩინეს.
 პრეზიდენტობის მოსურნე გახდნენ არა სალომე,
 არა გრიგოლი,
 მიშა-ბიძინა, ნაცებ-ქოცები,
 არ არის მათი ბრძოლა იოლი.
 საზღვარს იქიდან მიშა იქადის, საზღვრების შიგნით
 მძლავრობს ბიძინა.
 თემიდამ², ისეც თვალახვეულმა, მათმა მსმენელმა
 სულ მიიძინა,
 წინ გვიძევს მძიმე მეორე ტური, უნამუსობით
 გაზავებული
 საარჩევნო ხმა შაურადა ღირს, მთავარი არის,
 რომ გქონდეს ფული.
 ამ მხრივ, ბიძინა აჯობებს მიშას
 და გადაარჩენს თავის ქონებას,
 თუ დამარცხდება, რაც უშოვია,
 მერე ზღაპრულად მოეგონება.
 სალომე მისი საფარი არის,
 კეთილშობილი რამ სატყუარა,
 ამიტომ გახსნა ბანკის კარები,
 ქრთამის გაცემა არ დაიზარა.
 მან კარგად უწყის, თუ დამარცხდება,
 ეჭვქვეშ დადგება მთელი ქონება:
 მადნეულია თუ ანაკლია, რაც ვიცით
 და რაც გაგვეგონება.

1. იგულისხმება მ. სააკაშვილი, გ. უგულავა, გ. ბარამიძე, თ. ზოდელავა და სხვები.

2. თემიდა – მითოლოგიური სამართლიანობის ქალღმერთი.



ხომ განაცხადა, გამარჯვებისთვის გაიღებს ყველას,
 ჯიბეს გაიხვეს,
 რა მეთოდებით და რა ფორმებით – სულ ერთი არის,
 უკან არ იხვეს.
 მარიხუანას პროექტი დათმო, საჯაროდ,
 ვითომ მოინანია,
 მოვა დრო, ისევ მიუბრუნდება, პროგრამაში აქვს
 დიდი ხანია.
 მისგან სხვაობით სააკაშვილი მშიერ ხალხს მოძღვრავს,
 ალიზიანებს,
 იმდენს ვერ ხვდება, ამ გამოსვლებით,
 გრიგოლის საქმეს დააზიანებს.
 ვხედავ, იცვლება ხალხის განწყობა,
 შესაბამისი მოვა შედეგი,
 მხოლოდ შვილმკვდარი მამების საქმე შეურყვნელია,
 არის მედეგი.
 თუმცა კი არა, ახლა არ იყო? პროტესტის ტალღამ
 რომ ჩაიარა,
 მიშას დროს მოკლულთ მოიგონებენ,
 ბიძინას დროში მოკლულებს – არა.
 ძველი მთავრობა მკვლელებს ფარავდა,
 ახლა იგივე არ მეორდება?
 ძველს თუ აგინებ, ახალს რას იცავ,
 ვითომ მკვლევლობა აღარა ხდება?
 შავი სამყარო ფეხზე დამდგარა,
 მიჯრით რაზმავენ ახალსა, ძველსა,
 ქურდი მთავრობა ქურდებს შეეკრა, გულს გული მისცეს
 და ხელი ხელსა.

(ტელევიზია ახალ ამბებს გადასცემს)

ჟურნალისტი - ეკონომიკის მინისტრი ამბობს
 და იმეორებს ბიძინას აზრებს,
 მხოლოდ მოლაყბე აპყვება ჭორებს,
 თეთრს გააშავებს და გააბაზრებს.



ის, ხომ ცხრა წელი ხალხს იმონებდა,
 გაჭირვებული ხალხი კი თმენდა,
 ჩვენ დავიხსენით, ჩვენ ჩავატარეთ სახელისუფლო
 კადრების წმენდა.
 ერთი დრო იყო, ნაცების ბელადს,
 ჩემი მიმხრობა გულით უნდოდა.
 უმცროს ძმად მთვლიდა, მეფიცებოდა, „მაბოლებდა“
 და გარშემო ხტოდა,
 მე მალე მივხვდი იმის ჩანაფიქრს, ბიძინას შევხვდი
 და შევეკარი,
 შვიდი წელია, ერთად მოვდივართ, ვინც რას შოულობს,
 იმისი არი.
 ენერგეტიკა რომ ჩავიზარე, ვერ ვისარგებლე
 და მოვუარე?
 ჰიდრო-ელექტრო სადგურთა წყებით გავაძლიერე
 ყოველი მხარე,
 ახლა ქალაქს ვფლობ, შანსს ვატრიალებ,
 თუმც მოკრძალებით მიწოდეს მერი,
 რაც უნდათ, ის თქვან, მთავარი არის,
 შემოსავლები გახდა სამღერი.
 სამოთხის კარი გაიღო ჩვენთვის, ორნი ვიხარით
 მე და ბიძინა,
 ჩვენი შურს ყველას, შურით და ბოლმით მტერმა,
 მოყვარემ ვერ დაიძინა.
 რას დაგვაკლებენ, იმდენს ვშოულობთ,
 მაღლა მოყვირალთ მიჯრით ვიყიდი,
 ფულია ჩვენი დიდების წყარო,
 ფული გახდება მშვიდობის ხიდი.
 კომედიანტმა გრიგოლ ვაშაძემ ბევრი ილაყბოს
 და ისაუბროს,
 წითლებთან ერთად შავებს მივუშვებ, რას დამართებენ,
 ყველამ უყუროს.
 ალბათ, ჰგონია, ჩვენი ქვეყანა თავის სადოლე,
 საცდელ-სატირე,



ეგ რომ მთავრობას დაემუქრება, მე იმ მთავრობის
 დედა ვატირე.
 ჩვენ ვერ დავუშვებთ ხალხის დაყოფას,
 დახარისხებას – ჩემი და შენი,
 ქვეყანა ჩვენი კუთვნილი არის, ჩვენი საუფლო,
 ჩვენგან ნაშენი.
 პრივილეგია თავისთვის უნდათ, ჩვენ რა ვგონივართ –
 განყვეტილები?
 როგორაც იყვნენ, უნდა დავტოვოთ
 პრივილეგიებს მონყვეტილები.
 ჩვენ არ დავუშვებთ ნაცების ამბოხს,
 ფულიან შანსებს დავატრიალებთ,
 ბევრს მოვისყიდით, ბევრს დავაშინებთ,
 დედას ვუტირებთ, ავანრიალებთ.

ირაკლი კობახიძე - ოპოზიციამ ბევრჯერ დათვალა
 გადაცდომების წყვილი და კენტი,
 ვუსმინე, მაგრამ ვერ მოვისმინე დასაბუთების
 რამ არგუმენტი,
 არ შეიძლება, მუდამ იცრუო,
 ცოდვები იქით გადააბრალო,
 მათი ჭორების მხარდაჭერისთვის,
 თვით პრეზიდენტი მოჩანს საბრალო.
 თავს პოლიტიკოსს როცა უწოდებ,
 უნდა შეგეძლოს დასაბუთება,
 მე ვერა ვხედავ მათში ისეთებს,
 პოლიტიკოსი რომ ეწოდება,
 ამიტომ არის, სხვა გზა ვერ ნახეს,
 ურცხვად ამბოხი განუზრახიათ,
 ვიცით, რაც უნდათ, რასა გეგმავენ,
 ტელევიზიით ვაფრთხილებ ღიად:
 ჩვენ არ დავუშვებთ არეულობას და ჩავატარებთ
 მშვიდად არჩევნებს,



ეს გაფრთხილება თუ არ მიიღეს, მერე ნახავენ,
 ვინ ვის რას ავენებს.
 ჩვენი რიგები დარაზმულია, ორგანოები
 მზადა გვყავს აქვე,
 უჯობთ, შიგნიდან არეულობას,
 მშვიდობიანი მოძებნონ საქმე.
 ჩვენ მტკიცედა გვწამს, არჩევნებს ვიგებთ,
 სალომეს ვირჩევთ დიდი სხვაობით,
 შედეგი ვიცით და ისიც ვიცით, მიზანს მივალწევთ
 რისი რაობით.

ჟურნალისტი - ოცნების ხალხი რომ აქტიურობს,
 ხიფათი იგრძნეს, გასაგებია.
 მთელი ქვეყანა ხელში გეჭიროს,
 მერე როგორი წასაგებია?
 ამიტომ არის, მათმა ბატონმა გამოიძახა
 ძველი კადრები,
 ოღონდ მოიგოს ეს არჩევნები,
 გახდა ყველაფრის ცხადად მკადრები,
 მინისტრია თუ გუბერნატორი,
 საკრბულო თუ ქალაქის მერი,
 ვალდებულია, თავის ზონაში არჩევნებს მისცეს
 გზა შესაფერი.
 თუ ვერ შეძლებენ და წააგებენ,
 თანამდებობას მიაყოლებენ,
 მათ რომ მოხსნიან, კიდეც ცოტაა,
 მხარდამჭერებსაც ააყროლებენ.
 ასე დგას საქმე: ცხოვრება გინდა? –
 უნდა შეიძლო მარჯვედ ტრიალი,
 თუ დავალება ვერ შეასრულე, მალე გახდები
 ოხერ-ტიალი.
 რომ დაითვალო დასაკარგავი,
 თითუელს ბევრი დაუგროვდება,



უნდა გადადონ ამიტომ თავი, რომ არ მოაკლდეთ
 უფლის ხელდება.
 იანგარიშეს, ბოლო ოთხ წელში, მხოლოდ
 შორეულ მივლინებებში.
 ორმოცდა ათი მილიონი აქვთ შეჭმულ-ჩაყრილი
 ტუალეტებში,
 სხვა სალაფავიც რომ არ მოაკლდეთ,
 დაუზოგავად თავი გადადონ,
 უსაპნოდ გაძვრნენ, შავებს შეუძვრნენ
 და სასურველი შედეგი „დადონ“,
 ბილბორდებიდან მოხსნეს სალომე,
 ფიქრობენ ის ხალხს აღიზიანებს,
 ნაცვლად ბიძინა-ირაკლი¹ დასხეს,
 ვინც იმათ საქმეს არ აზიანებს?
 ბოლოს ასეთი რამ მოიფიქრეს:
 ბანკების ვალებს ჩამოანერენ
 ვინც მათ ხმას მისცემს, დაასაბუთებს,
 როგორ შეიძლეს, წვრილად აღწერენ.
 ასეთებია ექვსას ათასი – ნიშნავს,
 ამდენ ხმას ხომ იყდიან,
 ამდენს ერთბაშად დაიბევებენ,
 საქმის გაჩარხვაც ამასა ჰქვიან.
 სხვა ამბავია თავად ბიძინა,
 სხვის ვალებს რა გზით გამოისყიდის,
 რომ არ წააგებს, გასაგებია, მაგრამ არაა
 მომგები დიდის.
 თუმცა კი არა, ხუთ კილო ხახვს
 და ამდენ კარტოფილს ჩამოურიგებს,
 ხუთას პროცენტზე ავა მოგება,
 სხვა ასეთ საქმეს ვინ გაარიგებს?
 ამ არჩევნების ბოლო შედეგად ისეთი
 ციფრი გამოიყვანონ,

1. იგულისხმებიან სალომე ზურაბიშვილი, ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი კობახიძე.



მეტოქე დარჩეს განზილებული
 და წარმატებით თავად იხარონ.
 მეტოქე მათი, გრიგოლ ვაშაძე,
 თითქმის იფერებს პრეზიდენტობას,
 ამალას იკრებს დაუფარავად, სძლევს განყენებას
 და მარტოობას.
 ჰელსინკში შეხვდა ანგელა მერკელს¹
 და ესაუბრა როგორც ლიდერი,
 გამარჯვებული იერის მქონე,
 რომელს შენატრის ერი და ბერი.
 ეს ყველაფერი დასათმენია,
 მაგრამ გამჟღავნდა საქმე ფარული,
 ჰელსინკში იყო ჩუმიად ჩასული,
 როგორც სახლიდან გამოპარული,
 გრიგოლს იქ შეხვდა სააკაშვილი
 და როგორც შეგირდს, ელაპარაკა.
 რა უთხრეს ერთუროს, ვის რას შეპირდნენ,
 დიდხანს დარჩება ხალხში არაკად.
 რაც გახდა ცხადი, სააკაშვილი ასწავლის
 გრიგოლს მოქმედებასა,
 შეხვედრების დროს ის წინ მიუძღვის,
 ხომ არ დაუწყებს სხვას ვედრებასა.
 და საოცრება: ეს არ იკმარეს
 და უგულავა გამოგვეცხადა.
 ალბათ, იფიქრა, ნადავლს იყოფენ,
 ხელცარიელი დარჩება რადა?
 მიშამ და გიგიმ გულით იხარეს
 და გაიხსენეს ტკბილი წარსული.
 სულ არ იფიქრეს, ნაადრევია,
 მათი ზეიმი წრეგადასული.
 ხალხმა იხილა მათი ნავარდი
 და გაიხსენა წარსული მწარე,

1. ანგელა მერკელი – გერმანიის კანცლერი, ევროკავშირის აღიარებული ლიდერი.



სადა გვაქვს მინა გასაჩუქები, დასაკარგავი
 და გასაცვლელი?
 როგორც მომავალ პრეზიდენტს შვენის,
 საზღვრები კარგად უნდა ვიცოდე,
 სად და რა ხდება, ჩემ ხალხს რა უჭირს,
 გავიგო მათი ცოდვით ვინვოდე.
 მე კაბინეტი სულ არ მჭირდება, ოკუპირებულ
 სოფლებს დავილი,
 გაჭირვებულებს შევეხიდე, ყველა ერთნი ვართ
 ამ მხარის შვილი.
 თუ ვინმეს ახსოვს, მინისტრობის დროს,
 მე გავიყვანე რუსების ჯარი,
 კი არ გპირდებით, მაგრამ ვეცდები,
 ახლაც არ ვჭამოთ ჩვენ მტრების ჯავრი.

(სალომეს სიტყვას აწყვეტინებენ და ახსენებენ რა ცალკეულ გამონათქვამებს, აიძულებენ სასწრაფოდ დატოვოს საოკუპაციო ზოლი. იმავე ადგილას ჩადიან სახელმწიფო მინისტრი შერიგების საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი და ცოტა ხნის სხვაობით ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი)

ქეთევანი - წლები გადის და ჩემს სამინისტროს
 პრობლემა რჩება გადასაწყვეტი,
 გამყოფი ხაზი ჩაკეტილია, უსაგნო,
 როგორც ხევი ნანრეტი,
 რა არ ვილონეთ, რა არ ვეცადეთ,
 ნდობის აღდგენა ჩვენ ვერ შევძელით.
 ჩვენ შორის რუსი საზღვრებს ამაგრებს,
 რკინა-ბეტონით, ბადით და ძელით,
 რუსებს არა ვცნობთ, არ ვეპუებით
 და შერიგება არც კი გვიცდია,
 ისინი ჩვენზე გაბრაზებული, ძალად არ გვთვლიან,
 რად დაგვიცდიან?



მინებს გვტაცებენ, მოსახლეობას აშინებენ
 და ატერორებენ.
 თუ ვერ მოვძებნეთ გამოსავალი, ხვალ
 და ზეგ უფრო მეტსაც შეძლებენ.
 მეტი რა გზა გვაქვს, ჩვენს პარტნიორებს
 ყოველთვის საქმის კურსში ვაყენებთ,
 აღშფოთდებიან მოკავშირენი,
 მაგრამ აგრესორს ეს დააყენებს?
 ჩვენ რა ვართ, ხედავ? ბოლო ხანებში
 ხელში მოიგდო მთელი სირია,
 ირან-თურქეთი შეიკავშირა, ვისი ერთობაც გასაკვირია.
 ჩვენ ალყაში ვართ და მაინც ვიბრძვით,
 ჩვენ ჯერ იმედი არ დაგვიკარგავს,
 პატრიოტები გვაიმედებენ,
 მათი ნათქვამი მომავალს ქარგავს,
 ახლაც ასეა, რასაც დღეს ვხედავ,
 ხვალ მე და დავით ზალკალიანი¹
 ელჩებს ვუამბობთ, დარწმუნდებიან
 რომ რუსებია თავქარიანი,
 ჩვენ კი იმათი ერთგული ვრჩებით
 და რუსის კლანჭებს თუ გადავრჩებით,
 კრედიტს მოგვცემენ, ქებას გვეტყვიან
 და ამ მალამოს ძალით მოვრჩებით.
 როცა ოსები გვნახავენ ჯანმრთელს,
 გამოგვინვდიან ძველებურად ხელს,
 ძმები ვიყავით, ძმები დავრჩებით,
 გაუხარდება ერთობის მნახველს.

შალვა - ოლიგარქების ბატონობისას,
 მშრომელებს მეტად გაუჭირდებათ,
 ლეიბორისტთა მხარში დადგომა
 მძიმე ბრძოლაში რომ დასჭირდებათ,

1. დავით ზალკალიანი – საგარეო საქმეთა მინისტრი.



ეჭვი არაა. ამიტომ აქ ვარ, ქვეყნის
 პირველი ლეიბორისტი,
 სამშობლოს ვფიცავ, მშრომელებს ვიცავ,
 ტირანსა ვლანძლავ, მამაცი, ხისტი.
 დიდი ხანია, მშრომელებისთვის თუ რამ კეთდება,
 ჩემით კეთდება,
 მაგრამ წვრილმანი შეღავათებით,
 მათი ცხოვრება გამოკეთდება?
 ამიტომ იყო, ხალხს მოვუწოდე, თუ საამური
 გინდათ ცხოვრება,
 პრეზიდენტობას თუ ჩამაბარებთ,
 არ დაგჭირდებათ გამეორება,
 უმაღლესს შევქმნი ამქვეყნად,
 რომ მშრომელები გულით ვახარო,
 ველარ იხილავთ ექსპლოატატორს,
 სანთლით ეძებთ, ნეტა სად ხარო,
 სხვა დაპირებაც ბევრი მივეცი, მაგრამ არ გაჭრა,
 არ დამიჯერეს,
 მიტომ ცხოვრობენ შიმშილის ზღვარზე,
 უმუშევრობა ერწყმის სიბერეს.
 სანაცვლოდ, ნახეთ მთელი ქვეყანა,
 ივანიშვილის გახდა მძევალი.
 მოსახლეობის უმეტესობას კისერზე ადევს
 ბანკების ვალი.
 თავად ოლიგარქს ეს არ ადარდება, მშიერს
 და შიშველს არ შეიცოდება,
 ერთგულ ლაქიებს ნადავლს გაუყოფს,
 ძაღვანებსაც ძვლებს გაუწოდება.
 მოსამართლენი, როგორ წამომცდა,
 წურბელებს ვარქვი მოსამართლენი,
 სიმართლისათვის როდი იღწვიან,
 ოლიგარქისთვის გამხდარან ძღვენი,
 თუ ვინმე დარჩა პატიოსანი,
 მოსამართლეა თუ პროკურორი.



არას ანდობენ, ვერას შეცვლიან,
 რომ გადახარონ აქეთ სასწორი,
 ქურდებს უჭირავთ მთელი ქვეყანა,
 „ობშჩაკებია“ მათთვის ბანკები,
 ვერ შეარყევენ მათ მშრომელები,
 ტყუილად თავით დაეტაკები,
 გამოსავალი ერთად-ერთია,
 მუშტად შეიკრას ყველა ჩაგრული.
 ძალა ვანახოთ სისხლის მწოველებს,
 ძალად ვაქციოთ რისხვა ფარული,
 დავსვათ წერტილი, როდემდე უნდა გვანიავენდენ
 ლარის რყევებით.
 თუ მოვინდომებთ, ყველას მოვთოკავთ
 ურყევი ნებით, შიშველ ხელებით.
 ჩვენ აქა ვდგავართ და ვაპროტესტებთ
 ოკუპანტების თავხედობასა,
 თქვენ სადა ხედავთ პარლამენტარებს,
 მათგან მშრომელთა შეცოდებასა,
 ივანიშვილმა ეს პარლამენტი მილიონერთა
 კლუბად აქცია.
 პუტინის საქმეს აკეთებინებს, ვინც ურჩი არის,
 ის გააქცია.
 ნახავთ, რა ხრიკებს არ მოიგონებს,
 რომ გაიმარჯვოს მეორე ტურში,
 ქრთამებს არიგებს, ვალებს ყიდულობს,
 სიყალბეს მალავს სხვათა ხმაურში,
 რათა დავუსვათ დიდი წერტილი,
 დიდი ბარიგას ბატონობასა.
 მე მხარს დავუჭერ ოპოზიციას,
 ამით მშრომელებს მოვგვრი შვებასა.

ჟურნალისტი - არჩევნების დღე დანიშნულია,
 ეს ზღვარი არის თუ ნიშნულია,



ნაცებ-ქოცები არ ჩერდებიან,
 ეს გამარჯვებად მიჩნეულია.
 ხელისუფლება ქოცებს უჭირავთ,
 ამ ძალას კიდევ ამოქმედებენ,
 ფულით იგებენ, ლანძღვით იგებენ,
 ნაცებს ბრძოლაში ბეჭებზე სდებენ,
 უნდა გენახათ ახალქალაქში იარაღს
 როგორ ატრიალებდნენ,
 ნაცების მომხრეთ აზიანებდნენ, სისხლს ადინებდნენ,
 ატრიალებდნენ.
 სომეხთა შორის, ოცნების მხარეს, მიემხრო
 ვაჰან ჩახალიანი¹.
 ნაცების ციხეს გამოგლეჯილი ბრძოლას აგრძელებს
 ფარ-ხმალიანი.
 მარნეულში კი სხვაგვარად ხდება, ვინც ნაცებს იცავს,
 ის ფსელით თვრება²,
 „ოცნების“ ხალხი სულ მართალია,
 დამნაშავეა „ნაცების“ კრება.
 სადღაც ისვრიან, სადღაც ამტვრევენ,
 ვინაც არ მოსწონთ, ნაცებს არქმევენ.
 რა დროს სალომე, რა დროს გრიგოლი,
 ვინც ნებით არ თმობს, ძალით ართმევენ.
 ოცნების შიგნით, ვისი ოცნებაც ბიძინას ნათქვამს
 არ ეთანხმება,
 ნაოცნებარი გაუხუნდება, შედეგად ციხის
 კერძი გახდება³.
 ბევრმა სხვაგვარი იწყო ოცნება
 და გაიხსენეს ძველი დროება.

1. ვაჰან ჩახალიანი – სომხური სეპარატიზმის მედროშე, სამცხე-ჯავახეთის სომხეთისათვის მიერთების იდეის მოთავე.
 2. მარნეულში მოპირისპირეს აიძულეს საკუთარი შარდით პირი დაებანა.
 3. მინიშნებაა ზუგდიდის ყოფილი მერის ლაშა შონიასი და ვიცე მერის გია გულორდავას ბედზე.



როცა ნაცობდნენ, ვითომ ანცობდნენ,
 ოცნებას მათი ფიქრი მოება,
 ოცნებამ სძლია მათ ნაცურ გრძნობას,
 გახდნენ ოცნების აზრთა მცველები.
 ოცნებით გახდნენ მეოცნებენი,
 მაგრამ ნაცური დარჩათ ხელები,
 ახლა ოცნებით ოცნება დნება,
 ნაცურ ხელების დროება დგება.
 ვინც გაიხსენებს ნაცურ ოცნებას,
 ნაცების რიგში დროით ჩადგება.
 ვინც უკვირდება, ის გაკვირდება,
 რა ბევრი სტოვეებს ოცნების რიგებს,
 ვინაც არ იცის ოცნების ძალა,
 მათ ნაოცნებარს ის ვერ გაიგებს.
 თავად ბიძინა დაბნეულია, მისი ოცნება შერყეულია:
 ფარცხალაძენი, მურუსიძენი¹, ერთი-მეორეს შერეულია.
 ლარის კურსია საცოდავ დღეში,
 ეკონომიკა გამწყდარა წელში,
 ხალხი რომ გმინავს, მათი ქონება, ნიშნავს,
 გადადის ბანკების ხელში.
 ამ დროს რა კარგი გეგმები ჰქონდა,
 დიდი მოგება რასაც მოჰქონდა:
 კანაფის ველი, მარიხუანა. ძველი ოცნება
 სად მოაგონდა.
 ფართო მასებმა ეს ვერ გაიგეს, ვერ იგრძნეს
 მისი ოცნების ძალა,
 სამღველოებამ მხარი მათ მისცა,
 ოცნებას ძალა გამოეცალა.
 დროებით, მაგრამ ხომ მაინც დათმო,
 გულში ჩაიდო მასების წყენა,
 მოვა დრო, მათზე შურსაც იძიებს, ერთს აზრობს ტვინი,
 სხვას ბაზრობს ენა.

1. ფარცხალაძე-ყოფილი მთავარი პროკურორი, მურუსიძე – ყოფილი იუსტიციის საბჭოს მდივანი – აქ განზოგადებულია.



სხვა რა დაეთმო, რომ ხალხს ის ეძმო,
 რამდენი ცვალა პრემიერები,
 პროკურორები და მინისტრები, თუ გიჭირს
 ნემსის ყუნწშიც გაძვრები,
 იქამდე წახდა სიტუაცია, საჯაროდ იწყო
 ენის მოჩლექა¹,
 ხალხს მიეფერა ტელევიზიით, ვინაც
 მიაჩნდა ნაცრად და ლექად.
 თითქოს ცრემლები წამოუვიდა, სინდისის ქენჯნა,
 რაც ბევრს ეგონა,
 აბა, რა ექნა, ნაშოვნს ჰკარგავდა,
 რალაცა უნდა გამოეგონა.
 რა მაგარია, რა ჭკვიანია, სად გამოჩხრიკა
 იმის მრჩეველი?
 რაც გინდა, ის სხვას გადააბრალე, გამოიყენე
 ილეთი ძველი,
 და ათქმევინა ერთგულ ლაქიებს:
 მიმდინარეობს დიდი მზადება,
 გეგმავენ ამბოხს მოძალადენი,
 უნდათ მთავრობის ბეჭზე დადება.
 უცნაურია, ოპოზიცია ძალადობას გმობს,
 სიმშვიდეს იჩენს,
 ფიქრობს, ისედაც მოგებულა,
 ახალ თავსატეხს რატომ გაიჩენს?
 ამ დროს მთავრობა და პარლამენტი,
 ვითომ, ამბოხის გეგმებს არჩევენ,
 ამ მხრივ კალაძეს და კობახიძეს²
 მათი ნათქვამი გამოარჩევენ.
 ორივე ფორმით წონიანია, ფულიანია, ქონიანია.
 მრჩეველთა ძალით და მცველთა ძალით ღონიანია,
 გონიანია,

1. მხედველობაშია 21/XI მიმართვა ტელევიზიით.

2. კალაძე ვახა – თბილისის მერი, კობახიძე ირაკლი – პარლამენტის თავმჯდომარე.



ფიქრობენ ხალხი ძნელად გაარჩევს არსის
 და ფორმის სხვადასხვაობას,
 ფაქტი ფაქტსა სცვლის, ტყუილს – ტყუილი,
 ბევრი ვერ არკვევს იმათ რაობას,
 საერთო ძალით, თითქოს, შეთანხმდნენ,
 ბიძინას ერთი წელი ეძლევა.
 ნახავთ, რას შეძლებს, რას შეასრულებს, რა შეუძლია,
 რისი დაძლევა,
 მანამდე რჩება დიდი კითხვები, შენგელაიამ¹
 და „ხალხის ნებამ“,
 ბიძინას უთხრეს მის სასახლეში,
 ბოლო შეხვედრა როცა ინება,
 არ დაუმალეს, კი აქვს სიმდიდრე, ბევრი ფულები,
 ფულით გავლენა,
 მაგრამ არსი აქვს ისევ გლეხური,
 ნუ ეგონება თავი მოვლენა.

(28 ნოემბერს, როგორც იქნა, ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური. ამით მიწველდა ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მწვავე დაპირისპირება ძალაუფლებისათვის. ტელევიზია, პრესა, მთელი წინა პერიოდის მანძილზე, დეტალურად აშუქებდა კომედიანტი ტურებისა და მეღიების შერკინებას მსუყვე ნადავლისათვის. პრეზიდენტობის კანდიდატები მებრძოლებს ფრაგმენტულად ახსენდებოდათ.)

ჟურნალისტი - მთელი ქვეყანა ბრძოლის ველია,
 მინდა და მაინც ვერ მიშველია,
 ხმებსა ჰყიდიან, ხმებს ყიდულობენ, საძებნელია,
 სანატრელია,
 უბნების გარეთ ძალოვანები, შავებთან ერთად
 წესრიგს იცავენ,
 გასარკვევია, ვის რას ეტყვიან, სიტყვები

1. შენგელაია გიორგი – კინორეჟისორი, სამოქალაქო საზოგადოება „ხალხის ნების“ დამფუძნებელი, ბიძინას ლაკონური შემფასებელი.



იქით რას შეიცავენ.
 გახარიაა¹ გახარებული, სამეგრელო ჰყავს
 დღეს დაპყრობილი,
 ბიძინამ ნღობა გამოუცხადა, ყაჩაღი არის
 ქურდის ძმობილი,
 დედაქალაქი კახის ხვედრია, მისი
 ნადავლი ქუჩებში ყრია,
 თუ არ მიიღო ბოლო შედეგი, ცუდი მცდელობა
 რა ხეირია?
 შავებთან ყოფნას გამოცდილია, მათთან საერთოც
 არ დაილია,
 უბნებს უჩინეს „მაყურებლები“, შედეგიც მათი
 შრომის წვლილია,
 არ დარჩენილა დაბა-სოფელი, სადაც არ მისწვდა
 საერთო ხელი,
 „ბიულეტენებს“ ჯგუფ-ჯგუფად ყრიან, აღრიცხვაზეა
 ქვეყანა მთელი,
 მხოლოდ ერთია სადარდებელი, ჩაყრილის რიცხვი
 არ შეეშალოთ.
 ამომრჩეველთა რიცხვს არ ამეტოს, არ გაურთულდეთ
 საქმე სახვალთ,
 ნაციონალებს სხვა აქვთ საფიქრი, მათი აზრები
 მიშასკენ მიჰქერის,
 თუ ვერ „გაქაჩეს“ კარგი შედეგი,
 ბელადის რისხვა მოდრეკს და მიჰყრის.
 ორივე მხარე თავის ხმებს ითვლის, სხვისას იწუნებს,
 თავისკენ – ითლის.
 სხვისი ნაზელი ტალახი არის, მათი ნაცხობი პურია
 იფქლის,
 დარღვევებია და საჩივრები, მათ გასარჩევად
 ვისა სცალია.
 მთავარი არის ბოლო შედეგი, რომ განისაზღვროს,
 მომავალია,

1. გიორგი გახარია – შინაგან საქმეთა მინისტრი.



ამასობაში დღე მიიღია, ფიქრობენ, ესაც
 მათი წვლილია.
 გამარჯვებულად ისა ცხადდება, ვინც შავ საქმეში
 გამოცდილია,
 ბიძინამ ბოლოს მიშას აჯობა, დარჩა დიდება
 და გამაჯობა,
 როგორ გაიყონ ქვეყნის სახრავი, არ დაიღვეა
 მათ შორის ბჭობა.

კახა - მიშას სურვილით ბურთს რომ ვკენწლავდი,
 ნაციონალთა მეგობარს ვგავდი,
 ანგელოზით იმათში ვჩანდი, მათსას ვწუნობდი,
 საკუთარს ვრგავდი,
 თამაშ-თამაშით მათთან ვიარე,
 მაგრამ ფული არ გავუზიარე,
 მხოლოდ ბიძინას შევეკარ მტკიცედ,
 ვინაც იყიდა ეს არე-მარე,
 ერთად ბევრი რამ გვიკეთებია, მე ცოტა შემხვდა,
 მისი ბევრია,
 მის მაგალითზე დავკვალიანდი, იმისი ჩემში არ ამერია.
 მისგან ვისწავლე, უნდა ვითმინო,
 მორჩილად მისგან ლანძღვა ვისმინო,
 არ დავივიწყო გაგყიდ-გიყიდის, თუ გეზს შეგიცვლის,
 არც ის იწყინო,
 ოხრებთან ზავი მამამ მასწავლა,
 კარლო ამაში გამოცდილია.
 ქართულ ოცნებას ოცნებად ვყავართ,
 გამარჯვებაში ჩვენიც წვლილია,
 დღეს გავიმარჯვეთ ამ არჩევნებში,
 როგორიც გვსურდა, შედეგი დავდეთ,
 ჭკვიანები ვართ კალაძეები, ბედი ამიტომ
 ბიძინას ვანდეთ,
 ეს იყო ბრძოლა დაუნდობელი,
 საქვეყნო იყო რეფერენდუმი.



უარი უთხრეს ნაციონალებს, წარსული მწარე,
 კმედება უმი,
 თან სულელები, ასე ეგონათ, ხალხს დაავინწყდა
 ის ძალადობა,
 სიცრუე იყო დაპირებები, არა სჩვეოვდათ
 მსხვერპლთა დანდობა,
 სულ სხვაა ჩვენი პარტიის ნება, როგორც ვაპირებთ,
 ისე იქნება.
 იზრდება ხალხის კეთილდღეობა,
 ნახანძრალებზე ვიცით შენება,
 ენერგეტიკა მე რომ მეზარა, ჰესები ჩავდგი
 მცირე და ჩქარა.
 იქ რაც შევძელი ხომ ამოვიღე, სადღაც
 რაღაცაც არ დამეზარა.
 ბიძინამ მიქო ეს მონდომება,
 ქალაქის მერად გადმომიყვანა,
 ჩემი რადა შურთ, ბევრიც ვიშოვო,
 გავუთოლდები ბიძინას, განა?
 მე თუ ვეცდები, კანონიერად, მე ხალხმა მომცა
 ამის უფლება,
 მანდატის ფარგლებს არ გავცილდები,
 სიხარბე რატომ დამეუფლება?
 ახლა მთავარი: გვყავს პრეზიდენტი,
 ღირსეული და გამორჩეული,
 გვერდით დავუდგეთ ფრანგებში აღზრდილს,
 რომ არ ეგონოს თავი ეული.
 მან კარგადა თქვა, კონსტიტუციურ ტრადიციათა
 იქნება მცველი,
 მე იტალიურ მაფიის წესებს გავუზიარებ –
 ხელს მივცე ხელი.
 საერთო ძალით, ბიძინას ნებით, რაც ჯერ სხვისია,
 ჩვენი გახდება.



რაც მეტს მოვიგებთ, წინსვლა იქნება,
 პროგრესი ყველას გაუხარდება.

სალომე - საფრანგეთშივე მქონდა მიზანი,
 ახლა მიზანი მიღწეულია,
 ორმოცდაათი მყავდა მოცილე, ყველა
 განეულ-მიწეულია.
 დიპლომატიის ფრანგული სკოლა კარგად მქონია
 ათვისებული,
 ცხოვრების გზაზე გამარჯვებაში ბევრი მოდავე
 დამრჩა ვნებული.
 ბოლო წლებია, ბიძინას შევხვდი, ვუთხარ და მითხრა
 გასაგებადა,
 მისი რჩევაა, არვის შევეკრა, არ გავხდე სხვის გზის
 დასაგებადა,
 დეპუტატადაც კენჭი ვიყარე, არ ვიყავ სხვათა
 ფრაქციის წევრი,
 მარტო ვიყავი, მარტო ვიბრძოდი, მხოლოდ მოშურნე
 გამოჩნდა ბევრი,
 საპრეზიდენტო მარათონისას არავინ მყავდა
 მხარის დამჭერი.
 წარსულმა, ცოდნამ, ავტორიტეტმა
 ამაღებინა მთავრობის ქერი.
 ქერიდან მასებს ვეტყვი მადლობას,
 რომ ქცევა ჰქონდათ ობიექტური,
 წარსულ სიავეს უარი უთხრეს,
 მომაგებინეს მეორე ტური.
 ამ პრინციპული არჩევნებისას,
 ბიძინა რჩევით წამომეხმარა,
 ზოგი საკითხი გადამიწყვიტა,
 ზოგს მიუთითა და მომიგვარა.
 სანაცვლოდ მე მას სიტყვა მივეცი,
 არ გავიხედავ ავლაბრის მხარეს,



მიშა იყო თუ იყო გიორგი¹ იმ სასახლისთვის
 იმკიდნენ მწარეს,
 მე ჭკვიანი ვარ, რა ბედენაა, რეზიდენცია საით მექნება?
 მთავარი არის, ვარ პრეზიდენტი,
 პრეზიდენტული მექნება ნება.
 ჭირს წაუღია ყველა სასახლე
 და მისი ფლობის ყველა მდომნელი,
 მე ბევრი მინდა, ცოტას ვჯერდები,
 შორ გზას სჭირდება ნაბიჯი ნელი.

ბიძინა - უმადურობავ, შენი ბუნება,
 ქალის მაგვარად ცვალებადია,
 ხან გადმოგიშლის სრულ საიდუმლოს, ხან გადამალავს,
 რაც აბადია.
 ცხოვრების გზაზე რამდენი ვინმე, შემცოდებია,
 დამიფარია,
 რამდენისათვის სიკეთე ვთესე,
 რაც თავისათვის მომიპარია.
 ზომიერების გრძნობა სიბრძნეა,
 მეც ზომიერად ვიხარჯებოდი
 და რა ვიცოდი, უმადურობას სიკეთის წილად
 გადვეყრებოდი.
 განა, რამდენი ხანი გავიდა, პირველი ტური
 როცა წააგო,
 ჯიუტი არის, არ დამიჯერა, თავნებობისთვის
 პასუხი აგო,
 მეც შემეცოდა, მხოლოდ ის არა, მასთან საჩემო
 პერსპექტივები,
 უცებ დამეთმო ნაცებისათვის, ერთად მიყრილი,
 როგორც მძივები.
 არადა, არ ვარ ფუჭად დამთმობი, ვისთვის დამეთმო,
 მითხარ ყოველი?

1. მიხეილ სააკაშვილი და გიორგი მარგველაშვილი, პრეზიდენტობისას, ავ-
 ლაბრის სასახლის გამო, სხვა რამესთან ერთად, იყვნენ ბიძინა ივანიშვილის-
 გან შერისხულნი.



როგორი არის, ქარს გავატანო, მოგება რასაც
 სხვისგან მოველი,
 ამიტომ იყო, ოქტომბრის ბოლოს, უჩვეულ ძალით
 ვინერვიულე,
 მერე დავფიქრდი, ეს როგორ მოხდა, რასაც შევპირდი,
 ვერ შევუსრულე.
 დამოკიდებულს არ ვუძახოდით, ვინც წლობით მყავდა
 ჩამოკიდული,
 მაგრამ ვმაღავდით, ასე გვანწყობდა,
 ოცნება ასე გვექონდა ქართული
 და როგორც ვნახე, შეჭირდა საქმე, სასწრაფოდ უნდა
 რაღაც მელონა.
 ბილბორდებზე მე გამოვიჭიმე, სხვა უკეთესი
 რა მომეგონა?
 ამასთან გავხსენ სალარო ჩემი, თანხა გავიღე
 თვალში საცემი,
 მილიონამდე ხმა შევიძინე, უმადურობის
 გავხდი საცემი.
 როგორც მოვიგე მეორე ტური და პრეზიდენტად
 ვაქციე ქალი,
 უცნაურობა გამოიჩინა, საშვილიშვილო დამადო ვალი.
 თქვა, რომ არავინ მიხმარებია, მარტო იყო
 და მარტო იღწვოდა,
 ყველას თანაბრად უთხრა მადლობა, ყველას მაგივრად,
 ვითომ იწვოდა.
 წინ გრძელი გზა აქვს, რამდენი წელი უჩემოდ
 როგორ უნდა იაროს?
 პრეზიდენტობა რომ შეიფეროს, ჩემი აზრი
 არ გაიზიაროს?
 ვნახოთ, რას მოგვცემს ხვალინდელი დღე,
 თაყვანს როგორ მცემს, როცა შევხვდები,
 წინამორბედებს თუ დაემსგავსა,
 უმადურობის მსხვერპლი გავხდები.



დღეს ხალხს მადლობას ხმამაღლა ვეტყვი,
 ამომრჩევლების გული მოვიგო,
 თანამებრძოლებს სიკეთე ვუყო, ვინ რადა ფასობს,
 კარგად გავიგო.
 დავახარისხო ძველი, ახალი, მათი რიგები
 კიდევ გავწმინდო,
 შემოვიმტკიცო მშიერთა ხროვა, ვინც უკვე გაძღა,
 რატომ დავინდო?
 ხალხს უყვარს მსგავსი სანახაობა, სხვის დასაჭერად
 სულ აქვთ მზაობა
 და არ ადარდებთ მტყუან-მართალი,
 საქმიანობა, საქმის რაობა,
 ბევრ რამესა ვარ შეპირებული, როგორ მოვიგო
 იმათი გული,
 თუ ნაწილობრივ არ შევასრულე და არ გავწირე
 ზოგი ერთგული?
 ერთში კი შევცდი, ველარ მოვზომე, ერთი წლიანი
 ვითხოვე ვადა,
 სხვა გზა არ არის, კადრებს მივანერ,
 თუ შესრულება გადამევადა.
 უნდა მცოდნოდა, კონკრეტულ ტყუილს
 რომ კონკრეტული ვადა სჭირდება,
 არ შეასრულებ, ხალხი მიხვდება, მათი მოთოკვა
 გაგიჭირდება.
 ტყუილი უნდა ისეთი იყოს, როგორც ვარსკვლავი
 მანათობელი,
 ჰორიზონტით მიუწვდომელი და სასურველი,
 როგორც მშობელი.

ჟურნალისტი - თუ ტურებია გამარჯვებული,
 მეღიებს განა ეზეიმებათ,
 სხვისი ხეირი მათ აზარალებთ,
 აღიარება გაუძნელდებათ.
 ხალხი, შემეყურე, დაბნეულია. ყველა ერთია და ეულია,



ბევრი იმედი წართმეულია და ბევრი ძალა მოცემულია.
 უმრავლესობა, ხელჩაქნეული, უყურებს სეირს
 და იგინება,
 ნუთუ ესაა შეპირებული დემოკრატია და ხალხის ნება?
 კომედიანთა, რაც გათამაშდა, რეჟისორები უნიჭო, ზანტი,
 კომედიანტებს როლებს აძლევდა თავად უგვანი
 კომედიანტი.
 ოცნების მხარე რომ მხიარულობს, გამარჯვებული
 თავი ჰგონია.
 ნაციონალებს ასე ჰგონიათ, რაც სხვებს ჰგონიათ –
 მონაგონია.
 ვნახოთ, რა აზრებს ატრიალებენ, სიბრძნეს აფრქვევენ
 მონდომებული,
 რათა მტრის რიგებს თავზარი დასცენ
 და გაიმაგრონ დედალი გული.

მიშა - უცნაურია, რომ შვილი მამას ასწავლის
 იმავ საქმის კეთებას,
 რაც მამამ ხარჯად მაშინ გაიღო, როცა ცდილობდა
 მის გაკეთებას.
 თხუთმეტი წლის წინ, უნივერსიტეტს სტუდენტთა
 ღელვამ გადაუარა¹.
 არსებულ წესის შეცვლა უნდოდათ
 და არა მკითხეს მსურდა თუ არა.
 მაშინ ვუთხარი: ახალგაზრდებო, რასაც
 თქვენ ცდილობთ, მე მაქვს გავლილი,
 დამშვიდდით, რადგან ამ ოხრობებში მე მამად ვჩანვარ,
 თქვენა ხართ შვილი.
 ახლაც ასეა, ქურდულ ოცნებას თუ რამე ჰქონდა
 შეთვისებული,
 ჩემგან ისწავლეს ყველა ხრიკები, ამიტომ იყვნენ
 შემართებული.

1. 2003 წ. ე. წ. ვარდების რევოლუციამ უბიძგა სტუდენტობას თვითმმართველობა მოეთხოვათ. შედეგად მ. სააკაშვილის მუქარა მიიღეს.



საპრეზიდენტო არჩევნებისას,
 პირველი ტური მიტომ მოვიგე,
 მეორე ტურში რითი მაჯობეს, ვუკვირდები
 და ჯერ ვერ გავიგე.
 სანამ გავარკვევ, მომხრეებს ვუხმობ,
 ტურის შედეგი არ ვალიაოთ.
 დავტოვოთ ბინა, სამსახურები,
 ტრანსპარანტებით გზებზე ვიაროთ.
 ჰოლანდიდან¹ არ მოგაკლდებათ, ლოზუნგები
 და მითითებები,
 მთავარი არის მალლა ვიყვიროთ და მოყვირალთა
 შევაჭლოთ ხმები.

გრიგოლი - ხელისუფლება ოცნების მორჩა,
 გადასულია ქურდების ხელში,
 ერთად შეიკვრნენ არამზადები,
 რაც გაგვიგია ნუთისოფელში.
 ოლიგარქია მათი ბელადი, კონსტიტუცია გადაგვანია,
 ვინაც მოითმენს ამ დამცირებას,
 ასეთად ყოფნა მასზე ახია.
 აფერისტები – იურისტები, ყაჩაღები
 და მათთან ქურდები,
 ვისაც ნილაბი უფარავს სახეს და „კაპიშონი“,
 როგორც ქუდები
 არჩევნების დროს, საერთო ძალით, სხვადასხვა ხერხით,
 ხალხს აბოლებდნენ,
 შეშინებულნი და მოსყიდულნი მათ მითითებებს
 მორჩილად სდევდნენ.
 მიუხედავად ყოველივესი, სასურველ შედეგს
 ვერ მიაღწევდნენ.
 ვერც მიაღწიეს, ამიტომ იყო, ჩემ სასარგებლო
 ხმებს აუქმებდნენ.

1. მ. სააკაშვილი ცოლეურების სამშობლო ჰოლანდიას აფარებს თავს.



ასეთი გზით და ასეთი ფორმით, ეს გამარჯვებად
 არ ჩაითვლება,
 ბიულეტენებს ხელახლა დავთვლით,
 ოლონდ მოგვეცეს ამის უფლება.
 ხალხს მოვუნოდე და მიდგნენ გვერდით,
 პროტესტი ერთად გავახმიანოთ,
 საჭირო არის ტაქტიკის შეცვლა,
 გამოსვლა რომ არ დავაგვიანოთ.
 ერთ მუშტად შევეკრავთ ოპოზიციას,
 დღესვე გადავწყვეტთ რა გზით ვიაროთ,
 პერმანენტული გვექონდეს მიტინგი
 და დამარცხება არ ვაღიაროთ.
 არც დავივინყოთ, ოლიგარქია კრიმინალი
 და სხვათა მფარველი,
 ხელისუფლების შტოებში სხედან ყველა მძარცველი
 და მომპარველი.
 როცა მივალწვეთ სასურველ მიზანს,
 ხელისუფლებას გადავიბარებთ.
 თქვენ მაშინ ნახეთ მათი ვიშვიში
 განმარტებისთვის რომ დავიბარებთ.

გ. ვაშაძე - ამომრჩევლებთან გვექონდა პირობა,
 ყოველ მოცემულ ხმას დავიცავდით,
 მოლაღატური იყო მცდელობა, არ შევეკარით
 და არ დავზავდით.
 ოცნების ხალხმა რა არ იკადრა, ჩვენ მომხრეებთან
 ომი გამართა,
 იფიქრეს ამ გზით გაიმარჯვებდნენ
 და უარესი კი დაემართა.
 პირველი რიგის ამოცანაა, ხმები დავთვალოთ
 ობიექტურად,
 თორემ ცესკოს¹ თუ მივანდეთ საქმე, მოიქცევიან
 მოლაღატურად.

1. ცესკო – ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც უნდა შეაჯამოს ქვეყანაში ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგი. თუ არჩევნები გაყალბებულია, მაშინ გაყალბების გამკანონებელია.



ოპოზიციურ პარტიებსა ვთხოვ, შევიკრიბოთ
 და ერთად ვიმსჯელოთ.
 გავალთ ქუჩაში თუ მოთმინება გაზაფხულამდე სჯობს,
 რომ გავწელოთ.

იქნებ მოგვეწყო დიდი მიტინგი,
 გამოაჩინდა მისი შედეგი,
 როგორ მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთ,
 რა ნაბიჯი სჯობს ჩვენთვის შემდეგი.

ნ. მელია - დაბნეულობა ეტყობა მასებს,
 ცესკომ შედეგი გამოაქვეყნა,
 გაყალბებების ასეთი რიცხვი არ გაუგია
 არავის ქვეყნად.
 „კარუსელები“ დაატრიალეს, თეთრი შავად ცნეს
 და აღიარეს,
 „დიდი თურქობის“ ნადავლად იქცა ყველა უბანი
 და ყოველ მხარეს.
 ჩვენ ამ შედეგებს არ ვაღიარებთ, სახლიდან გავალთ,
 ქუჩებს ჩაკვეტავთ,
 ვინც შეეცდება ჩვენს შეჩერებას, „ზონდერიც“ იყოს,
 მაინც ჩაკვეტავთ.
 უნდა დავრაზმობთ მტკიცედ მომხრენი, ვინც კიდეც არი
 სიმართლის მცველი,
 წინ წავუძღვები, უკან მომყევით, მტრებს გაეუმწაროთ
 ნუთისოფელი.

დავით ბაქრაძე - ჩვენ ევროპული „საქართველო ვართ“,
 ნაციონალებს ვინც გავყვარეთ,
 ვინც მტკიცედ ვიცავთ ევროპელობას,
 აზიელებთან ვინც ვერ ვიხარეთ.
 მადლობას ვეტყვით იმ ამომრჩევლებს,
 ვინც ევროპულად ხმა ამოიღო,
 იძახა „ნატო“, ევროკავშირი,
 ბიულეტენით მსხვერპლი გაიღო.



სარისკო იყო მათი ქმედება, ატერორებდა
 ბნელი სამყარო,
 მაინც შევძელით ხმების შეკრება, შედეგი
 დავდეთ გულგასახარი.
 ჩვენ ეს შედეგი ნაცებს ვაჩუქეთ,
 არ დავივიწყეთ ძველი ერთობა,
 ის ნეტარი დრო, როცა შეგვეძლო, იქით შეტევა,
 სხვებზე ღმერთობა,
 კარგი დრო იყო, რამდენი რამე დაგვრჩება
 ტკბილად მოსაგონარი.
 ის სტიმულია, რომ არ შევჩერდეთ,
 ბელადიცა გვყავს მოუსვენარი,
 აქ ბოკერია და უგულავა ენის იარაღს აჟღარუნებენ.
 ევროპელობენ, აზიურად კი ქვეყნის ბატონთან
 ხიდებსა სდებენ,
 ის ყველას ჰყიდის, ყველას იყიდის,
 მის მოლიპულ გზას ვინც დაადგება,
 თადარიგს იჭერს, ხალხი ჭრელია,
 რა იცის ვინ სად გამოადგება,
 სიტუაციას ალლო აუღეს: ბევრი,
 შემძვრალი თავგის სოროში
 გამოფხაკუნდა, კუდს აქიცინებს,
 იქნებ შეამჩნევს მათაც სოროსი.
 მხოლოდ ჩვენ, მტკიცე ევროპელები,
 დაბანილი გვაქვს ვისაც ხელები,
 სხვებს არ ავყვებით, არ ავირევით,
 ტყუილდაც არ შევეშველებით.
 დემონსტრაციებს გავემიჯნებით,
 ჩვენ ჩვენი გზებით უნდა ვიაროთ,
 საპარლამენტო არჩევნებისთვის ვემზადოთ,
 შედეგს რომ ვეზიაროთ.
 სხვა პარტიები თუ გადანყვეტენ ქუჩაში გასვლას,
 ახმაურებას,



არ შევერევით იმათ რიგებში,
 ტელევიზიით ვარჩევთ ყურებას,
 ჩვენი დროც მოვა, ორი წლის შემდეგ,
 საპარლამენტო არჩევნებისას,
 წამოვაყენებთ გამოცდილ კადრებს,
 ვერ დავეყრდნობით ბოძებულს სხვისას.
 მანამდე გვმართებს სიფრთხილე დიდი,
 არ შეიძლება, რომ ვიყოთ მშვიდი,
 რადგან ბევრი გვყავს ლიდერთა შორის
 მოსაშორებლად, ხელმოსაკიდი.
 მათ კი ჰგონიათ, გულს ახატია მშრომელებს
 მათი იერ-სახელი,
 არავინაა იმათი დარი და უკეთესის სადმე მნახველი.
 ქართველები ვართ, ევროპელები,
 ამიტომ გვიჯობს ხმაურს ვერიდოთ.
 მოსაშორებელს არ შევეჯახოთ,
 რადიკალობის სახელი ვზიდოთ.
 დრო კიდევ ითმენს, არჩევნებამდე
 ამგვარ ლიდერებს ჩამოვშორდებით.
 ახლებს გამოვზრდით, წამოვაყენებთ,
 მომავალს მტკიცე რწმენით შევხვდებით.

გია ხუბაშვილი - ეს არჩევნები ფულმა მოიგო,
 პრეზიდენტი გვყავს ფულით რჩეული,
 ვინც მას შეაქებს სულელი არის, ვინც ლანძღავს,
 არის გადარეული,
 არჩევნებს ვამბობთ პირველ ტურისას,
 ხმა არც ერთისთვის არ მიმიცია,
 აქლემის შვილი კოზაკი არის,
 ცხენის ნაშობი მუდამ კვიცია.
 ამ საარჩევნო დროის მანძილზე,
 ჩართული ვიყავ პროცესში რაკი,
 ვაკვირდებოდი ორივე მხარეს,
 რომელი სჯობდა კვიცი – კოზაკი.



ბიძინას, იცით, მრჩევლადა ვყავდი, მასთან ვიყავი,
 ერთგულსა ვგავდი,
 რაც კი შემეძლო, ვეხმარებოდი, ბალახს ვაცლიდი,
 ყვავილებს ვრგავდი,
 მიძიმე რამ ჰქონდა ჩემ უფროსს ნონა, ძალა ერჩოდა,
 იცოდა ზომა,
 ტვირთს აქლემისას ეზიდებოდა, არ სჭირდებოდა
 სხვასთან გაძრომა.
 მის ირგვლივ მყოფნი ცხენის ტვირთს სძლევდნენ,
 ცხენის კი არა, იყო კვიცისა,
 მაგრამ ფიქრობდნენ, აქლემს ასწევდნენ,
 გადიდკაცებამ ასე იცისა.
 მიზეზს არ ვიტყვი, ვერ ავიტანე,
 აქლემის გვერდით კვიცთა ჭენება,
 რასაც ნახავდნენ, სახლში მიჰქონდათ
 და ეს ეგონათ ქვეყნის შენება.
 მე ქვეყნის შვილი, აქლემის გვერდით
 კვიცთა ჭენებას რომ ვერ ვიტანდი,
 ქვეყანამ იგრძნო, მეც ზღვარს მიველი,
 მეტ სისულელეს ვერ ავიტანდი.
 ასეც ამიხდა, მიტომ დავტოვე, აქლემს გავექეცე,
 კვიცს არ ვანოვე
 და თუ პირდაპირ არის სათქმელი, კვიცს ვერ შევეკარ,
 ვერ ჩავექსოვე..
 იმას არ ვიტყვი, თავიდან ვიგრძენ, თავიდან მივხვდი,
 რა მოხდებოდა,
 მაგრამ ვიცოდი, ასეთი გზებით,
 აქლემი კვიცებს გადაჰყვებოდა.
 მეც ჩამიტანდა ცოდვის უფსკრულში,
 საგინებელი მეც გავხდებოდი,
 ამიტომ იყო, წასვლა ვარჩიე,
 რადგან სხვა გზით ვერ გადავრჩებოდი.
 ისე ამიხდა, როგორც გავთვალე, დღეს ექსპერტი ვარ,
 აღმატებული,



იქ ნამყოფს ვერას დამიმაღავენ,
 ვერც იმას რაც აქვთ ჩაფიქრებული.
 როდის ავხსენი: ეს არჩევნები ცუდს
 და უარესს შორის იქნება,
 ყველა პრეტენდენტს კარგად ვიცნობდი,
 არ მჭირდებოდა დიდი მიგნება.
 სახეზე არის დღეს ეს შედეგი,
 ნაცებ-ქოცების დავა გრძელდება,
 და თუ არ მოხდა დიდი ცვლილება,
 ნეტარი დღე არ გაგვითენდება.
 ჭაობში ვსხედვართ, ღრმად ვართ ჩაფლული,
 გამოსავალი ვერ გვიპოვია,
 ერთი-მეორეს ტალახს თუ ვესვრით,
 აღმშენებლობა ამასა ჰქვია?
 ქვეყნის ლიდერი და წარმმართველი,
 როცა აქლემის ტვირთს ეწეოდა,
 დემოკრატიით და სამართალით, ამბობდა,
 ყველას დაეწეოდა.
 მრენველობას და სოფლის შენებას
 ოთხ წელიწადში ააყვავებდა,
 გადასახადებს გააუქმებდა, მშვივრებში დოვლათს
 დაახვავებდა.
 ვერ შეასრულა დანაპირები, ასეც ვიცოდი,
 კი არ მეგონა,
 ქურდს ნაქურდალს თუ არ წაართმევდა,
 ახალი სხვა რა გამოეგონა?
 სამართლის ნაცვლად უსამართლობას გზა მისცა
 მათი გასახარები,
 შენების ნაცვლად ნაგავი ჰყარა,
 დემოკრატიის დახშო კარები.
 რაც არ იცოდა, ის ვერ აკეთა და რაც იცოდა,
 ზურგი აქცია,
 ჭაობში სადმე ხე თუ გადარჩა, ისიც თავისთვის
 წამოაქცია.



მასებისათვის დღეს სულერთია –
 ოცნებაა თუ ნაციონალი,
 ვინ გაარკვიოს ჭაობში მყოფებს,
 ვის როგორი აქვს ფეხებზე ნალი.
 აპათიაა ჩვენი მეგზური,
 სანატრელი გვაქვს ყველი და პური,
 მოლოდინში ვართ, ეგებ, გამოჩნდეს სავალი
 გზა და მყარი სადგური.

**(შვიდი დეკემბერი, პარლამენტის ბიბლიოთეკის საკონ-
 სულტაციო დარბაზი. ხალხისა და ტელენამყვანების სიმრავ-
 ლე. მიწვეულებიანად (ალექსანდრე) ელისაშვილის მიერ.
 მოელიან ახალი სამოქალაქო მოძრაობის „მესამე ძალის“ და-
 ფუძნებას.)**

ნამყვანი - ქალბატონებო და ბატონებო,
 მობრძანებისთვის მადლობა ყველას.
 დიდი მადლობა ქუჩაში მდგომებს, ვინც კიბეზე დგას,
 იცდის და ლელავს,
 ჩვენი მიზანი არაა ვინრო, არც პირადული
 გვალაპარაკებს,
 აქ შევიკრიბეთ სიმართლისათვის
 და არც მოვყვებით ნაცნობ არაკებს.
 ზაფხულში დავთქვით ახალგაზრდებმა, შევხვდით,
 აზრები გავუზიარეთ.
 მიმოვიხილეთ. ავი და კარგი რა გვაქვს,
 რა გვინდა შინა თუ გარეთ,
 მოთავედ ვცანით ელისაშვილი, მცოდნე,
 ერთგული და პრინციპული.
 დღეს ის ჩვენს მიზნებს გაახშიანებს,
 ამიტომა ხართ მობრძანებული.

თენგიზ დოლიძე - მე ბათუმიდან მოვდივარ თქვენთან,
 თქვენ აზრს ელიან ბათუმელები,
 აქაა ჩვენი ცხოვრების ცენტრი,
 გამოგვინვდია თქვენსკენ ხელები.



თითქოს, ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ,
 გამოსავალი ვერ გვიპოვია,
 სხვა ხალხთა წინსვლა ჩვენ არ გვეხება
 და ქვეყნის წინსვლა ამასა ჰქვია?
 განათლების და კულტურის ხაზით ოცდახუთი წლით
 ჩამოვრჩით ყველას,
 თუ არ შევერთდით, წინ არ გავწიეთ,
 ვინ მოინდომებს უნდოვლის შველას?
 გთავაზობთ, ვისაც გული შესტკივია,
 მოქალაქური ანუხებს ვალი,
 გავერთიანდეთ, ერთად ვიფიქროთ,
 როგორი გვინდა ხვალ მომავალი.

სულხან სურგულაძე - ჩემი პირადი ინტერესები,

ქვეყნის მასშტაბით, არაფერია,
 ისეა, როგორც მთებში დაკარგულ ამირანს
 გულში დაუმღერია,
 მაგრამ თუ ჩემი ინტერესები,
 ქვეყნის სატკივარს მიეფერება,
 მაშინ, იქნება, კიდევაც ღირდეს,
 დასაფიქრებლად ეს ამღერება,
 ჯანდაცვის სფერო ყველას ანუხებს,
 ამ ხაზით ჩემი ინტერესები,
 ჩემი ცოდნა და გამოცდილება,
 ყველას აზრების არის შემვსები
 და ასეც ვფიქრობ, სამოქალაქო
 თუ დავაფუძნეთ ჩვენი ერთობა,
 გავძლიერდებით, სხვის ძალისხმევას,
 ჩემი ჭიდილი თუ დაერთობა.
 ასე იცოდეთ, მე მომავალში ამ ხაზით
 მტკიცედ უნდა ვიარო,
 მხარში დავუდგე გაჭირვებულებს,
 მათი ტკივილი გავიზიარო.



ლევან იოსელიანი - სამოქალაქო მოძრაობაში

რატომ ვერთვები, საკითხავია?
 მომბეზრდა მუდმივ იმის ყურება,
 ერთის სიკეთე სხვისთვის ავია,
 მიმოიხედეთ, სიძულვილია და ეგოიზმი გამეფებული,
 როგორ ვიცხოვრო, ვისთან ვიცხოვრო,
 ჯავრით არ გასკდეს კაცური გული,
 მე ქართველი ვარ, ამ ქვეყნის შვილი,
 ესაა ჩემი მიწა-სამშობლო,
 არ მინდა, სხვაგან გადავიხვეწო, რაც მიყვარს,
 ჩემით გახდეს საობლო,
 შვილები მინდა, აქვე გავზარდო,
 შვილიშვილები დავაფრთიანო,
 ემიგრაციას არ მივცე თავი და მომავალი დავაზიანო.
 დღეს სიძულვილი თუ მოგვეძალა,
 გავერთიანდეთ და გადავლახოთ,
 რად მივატოვოთ რაც ჩვენი არის, სხვა ვაძლიეროთ,
 ჩვენი გავლახოთ.
 ვეძიე, ვნახე, ვინც ჩემებრ ფიქრობს,
 ერთად ვიქნებით, ძალა გავხდებით,
 გავერთიანდეთ მხარს მივცეთ მხარი
 და სათითაოდ აღარ წავხდებით.

ალეკო (ალექსანდრე) ელისაშვილი - მოხარული ვარ

თქვენთან შეხვედრის, შორეულ მხრიდან ბევრი მოვიდა,
 რას მივანერო ერთსულოვნება,
 ღვთის მაღლი ჩვენზე გარდამოვიდა?
 მადლობა ყველას, ვისაც აქ ვხედავ,
 ყველა ჩემსავით მშრომელი არი,
 მე ეს მახარებს, რადგან მდიდრებთან, დიდი ხანია,
 გავავლე ზღვარი.
 რატომ მოგიტხროთ, თავადაც იცით,
 ქვეყანა ორად გაყოფილია,



ცალკე მდიდრები, უზრუნველები, ვინც ახლა მეფობს,
 ვინც ყოფილია,
 ხელისუფლებას ისინი ჰქმნიან,
 იმათ ხელშია ძალა-უფლება,
 თავის რიგებში მას ლებულობენ,
 ვინც დიდ ქონებას დაეუფლება.
 ჯარი მათ იცავს და პოლიცია,
 სასამართლო და პროკურატურა,
 სხვაგან ვერ ნახავ ამდენ თაღლითებს.
 ერთად არიან მელა და ტურა.
 პარტიებს ჰქმნიან და სათავისოდ თანამდებობებს
 ინანილებენ,
 პატიოსანი თუ შეეპარათ, „პანჩურის“ ცემით
 გააცილებენ.
 პარტიის გარდა, ვითომ მოდავე
 ორგანოები სამოქალაქო,
 მათ მეშვეობით კარგად იციან, სად რა უნდა თქვა
 და ილაქლაქო,
 ჩვენ ასეთების არ გვეშინია,
 ჩვენ წარმოვადგენთ მეორე მხარეს,
 იმათ, ვის შრომა არ ეზარება,
 უმუშევრობით ვერ გაიხარეს.
 თქვენ თუ გინახავთ მათი პარტია,
 მათი ძალების თავშესაკრები,
 თანამდებობებს მათ ვინ აღირსებს,
 გამოკეტილი ხვდებთ კარები.
 პატიოსნები – დაქსაქსულები, დაბნეულები,
 მარტოსულები,
 სამართალს როგორ ეღირსებიან,
 ყმებად არიან გამოსულები,
 ჩვენ გადავწყვიტეთ ერთად შევკრიბოთ ღარიბები
 და დამშეულები,
 ავუხსნათ, რატომ არიან ასე,
 ვისგან არიან დაჩაგრულები.



ეს საზოგადო სამოქალაქო, თავად გადანყვეტს
 რა გზას ენიოს,
 სამართლიანთა კავშირად იქცეს,
 თუ სხვებს მიბაძოს და დაენიოს.
 ერთი ცხადია: საქართველოში სამართლიანთა
 არ გვაქვს კავშირი,
 თუმც სამართალზე აქვთ პრეტენზია,
 კამათიც ისმის ამაზე ხშირი.
 კამათობენ და არა ფიქრობენ,
 ვერც გაუსწორეს არსებულს თვალი,
 სად მდიდარია და ღარიბია,
 როგორი არის იქ სამართალი?
 მშიერ-მაძღარი, კრავი და მგელი მუდამ თანხმობით
 ვერ იქნებიან,
 ცხოვრება მოსთხოვს, მოინდომებენ საქმის გარჩევას,
 ადრე თუ გვიან.
 ბიუროკრატთა ბატონობისას დემოკრატიას
 ვერ დაამყარებ.
 მგელს სახარებას თუ წაუკითხავ, კრავს ვერ დაიცავ
 და გაახარებ,
 დემოკრატია არაა მხოლოდ, უფლება,
 რაც გსურს ილაპარაკო,
 არც კომედია არჩევნებისა, ჩვენ რომ გავმართეთ
 რამ საარაკო.
 თუ გვინდა მართლა დემოკრატია,
 თვითმმართველობა ხალხისა გვინდა.
 ეს იმას ნიშნავს, რომ ბატონობა დიდმოხელეთა მოკვდა,
 გაფრინდა.
 ხელისუფლება, მისი შტოები, ხალხის
 მსახურად გადიქცევიან.
 როცა მისცემენ მსახურის ხელფასს,
 პრივილეგიებს შეეღვევიან.



მაშინ გენახათ, დეპუტატობას მათგან
 რომელი მოინდომებდა?
 სამინისტროში, დეპარტამენტში,
 დაგუბდებოდა მოხელეთ სევდა.
 მოქალაქეთა შევკრათ კავშირი,
 დე მას უნოდონ მესამე ძალა,
 არა პარტია, შეთქმულთა ჯგუფი,
 ვინაც ხალხისთვის ვერ მოიცალა.
 დემოკრატია მოგვცემს სამართალს,
 თანასწორობას, სიმართლის ხედვას.
 ერთია მხოლოდ: როდის დავიწყებთ
 დემოკრატიის პრინციპის ჭედვას¹?

1. დემოკრატიულობა ხელისუფლებისა (წყობილებისა) მოითხოვს:
 ნებისმიერი თანამდებობის არჩევითობას;
 ამორჩეულის პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე;
 ნებისმიერ დროს მისი გადარჩევის შესაძლებლობას;
 უმაღლესი ანამდებობის პირებისათვის კვალიფიციური მუშაკის ხელფასის
 დანიშვნას;
 დეპუტატების ხელფასის გათანაბრებას საშუალო ხელფასთან;
 პრივილეგიების ლიკვიდაციას.

